დაუსჯელი ძალადობა: 2024 წლის პროტესტების დროს საპოლიციო ძალადობის საქმეების გამოძიების პრიზისი

შუალედური ანგარიში

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დაუსჯელი ძალადობა: 2024 წლის პროტესტების დროს საპოლიციო ძალადობის საქმეების გამოძიების კრიზისი

(შუალედური ანგარიში)

თბილისი, 2025

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

დოკუმენტის ავტორები: მარიამ პატარიძე, ქეთი ჩუთლაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარიამ პატარიძე, ქეთი ჩუთლაშვილი, "დაუსჯელი ძალადობა: 2024 წლის პროტესტების დროს საპოლიციო ძალადობის საქმეების გამოძიების კრიზისი - შუალედური ანგარიში", 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

2024 წელი საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის განსაკუთრებული გაუარესებით ხასიათდებოდა.[1] ჯერ 2024 წლის აპრილსა და მაისში, შემდგომ კი ნოემბერ-დეკემბერში ქვეყანა მასშტაბურმა საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა. გაზაფხულის აქციები საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის,[2] ეგრეთ წოდებული „რუსული კანონის" ინიცირებასა და მიღებაზე საპასუხოდ გაიმართა, ხოლო ზამთრის აქციებზე ხალხმა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ არსებული კრიზისის ფონზე, ქართული ოცნების პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის მიერ ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილება[3] გააპროტესტა..

2024 წლის აპრილსა და მაისში, ე.წ. ,,რუსული კანონის" მიღების საწინააღმდეგო აქციებზე პოლიციამ მშვიდობიანი საპროტესტო აქციები ჭარბი საპოლიციო ძალის გამოყენებით შესაბამისი საფუძვლის გარეშე დაშალა, რასაც თან სდევდა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები. პოლიცია არსებითად მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ არაპროპორციულ ძალას მასიურად იყენებდა, რაც არ ემსახურებოდა სამართალდარღვევის აღკვეთას და მას დემონსტრაციული ანგარიშსწორების, მოქალაქეების სამაგალითო დასჯის მიზანი ჰქონდა.[4]

„რუსული კანონის" წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 200-ზე მეტი პირი დააკავა და 8 პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყო. სახალხო დამცველის განცხადებით, 15 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში აქციებზე დაკავებულების ნახევარზე მეტი (51.1%), რომლებიც აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს, სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდა.[5]

2024 წლის 28 ნოემბერს, ქართული ოცნების პრემიერ მინისტრის განცხადებას საზოგადოებრივი წინააღმდეგობის მძლავრი ტალღა მოჰყვა. იმავე ღამეს, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

---

[1] Human Rights Watch, World Report, Georgia. ხელმისწვდომია: https://cutt.ly/MrjckpOb.

[2] საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/GrhAWH8u.

[3] ქართული ოცნების პრემიერ მინისტრის 28 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/VrhS6K0A.

[4] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, „მოვუწოდებთ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს, წარმოადგინოს ინფორმაცია 16-17 აპრილს სამართალდამაცავების მიერ ძალის გადამეტების ფაქტებზე", ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/krhSY4Nv. ასევე, „30 აპრილი - 1 მაისის აქციის დარბევის სამართლებრივი შეფასება" ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/drhSIktp.

[5] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 17.05.2024, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/XrhSPTJf; ასევე იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 77, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/drhNi6IF.

მედიებისა და მოქალაქეების მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს,[6] რომ ხშირად, მოქალაქის მიმართ გამოყენებულ ძალას არანაირი სამართლებრივი საფუძველი და ლეგიტიმური მიზანი არ ჰქონია და მხოლოდ დასჯას, ანგარიშსწორებასა და დაშინებას ემსახურებოდა. სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი ქმედებები,[7] არაერთ შემთხვევაში მისი ბუნებით, ინტენსივობითა და სისასტიკით, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასა და დასჯას უტოლდებოდა. ამაზე მიუთითებენ როგორც საპროტესტო აქციის დროს დაკავებულები, ისე საქართველოს სახალხო დამცველი.[8] იგივე მიგნებებია დაფიქსირებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში.[9] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ მარტამდე პერიოდში, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირების 60%, ხოლო 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე პერიოდში მონახულებული პირების 79.5% უთითებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ.[10]

2024 წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების ქსელის მიერ, აღირიცხა ადმინისტრაციული დაკავების 486 შემთხვევა, რომელთაგან 200-მდე პირი, აქციების დაწყებიდან პირველ 72 საათში დააკავეს.[11] ამავე მოვლენებთან დაკავშირებით, სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ წარმოებული ერთობლივი დოკუმენტირების ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 117 რესპონდენტთან. მათი 77.7% (91 რესპონდენტი 117- იდან) მიუთითებს, რომ ისინი დაექვემდებარნენ ძალადობას და არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან, 19 ნოემბერი - 28 იანვრის პერიოდში მიმდინარე პროტესტის კონტექსტში.[12] რაც შეეხება სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებს, 2024-2025 წლის 2 თებერვლამდე აქციების კონტექსტში

---

[6] რადიო თავისუფლების კადრები, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/RrhNtWkn.

[7] ზვიად მაისაშვილის ცემის კადრები, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/RrhNtZo6.

[8] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის 29 ნოემბრინდან 2 დეკემბრის პერიოდში, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირებიდან, არასათანადო მოპყრობის თაობაზე 79.5% უთითებდა. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 77, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/drhNi6IF.

[9] Amnesty International, Georgia: Brutal crackdown on protestors and journalists in Georgia: "They may have broken our bones, but they won't break our spirits", December 13, 2024, Available at: https://cutt.ly/ZrjchcnD; Human Rights Watch, Georgia: Government Creating Rights Crisis, New, Repressive Laws, Violence against Peaceful Protesters, Available at: https://cutt.ly/PrjcPVzA.

[10] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 77, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/drhNi6IF.

[11] სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი ანგარიში, 2025, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ" გვ. 83, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/4rcczXXa.

[12] სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი ანგარიში, 2025, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ" გვ. 8, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/4rcczXXa.

იმ პირების რაოდენობა, რომელთაც ბრალი წარედგინათ/ან უკვე არიან მსჯავრდადებულნი, არის 69, რაც საკმაოდ მაღალი რიცხვია.[13]

2024 წლის 2024 წლის 15 აპრილიდან 15 მაისის (შემდგომში გაზაფხულის აქციები) და 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე (შემდგომში ზამთრის აქციები) პერიოდებში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების საქმეებზე გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაიწყო, რომელმაც პირველივე კვირებში რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ჩაატარა. სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა გენერალური პროკურორის ბრძანებით განისაზღვრებოდა.[14] სპეციალური საგამოძიებო სამსახური 2022 წლის მარტში, სამართალდამცავთა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისთვის შეიქმნა, რომლის მთავარ პრიორიტეტს არასათანადო მოპყრობის, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ ჩადენილი წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის საქმეების გამოძიება წარმოადგენდა. 2025 წლის მაისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით,[15] 2025 წლის 1-ლი ივლისიდან უწყება გაუქმდა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება თბილისის პროკურატურის კომპეტენციაში გადავიდა.

ჯერ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და მისი გაუქმების შემდეგ თბილისის პროკურატურას ამ დრომდე არ გამოუვლენიათ პასუხისმგებელი პირები საქართველოს შინაგან საქმეთა თანამშრომლების მხრიდან გამოვლენილ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში. წინამდებარე დოკუმენტი 2024 წლის გაზაფხულის მოვლენებიდან 1.5 წლის, ხოლო ნოემბერ-დეკემბრის მოვლენებიდან 1 წლის თავზე აფასებს სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების პროცესში წარმოქმნილ ძირითად ხარვეზებს, მასობრივი საპოლიციო ძალის გამოყენებით გამოწვეულ უფლებრივ დარღვევებზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობას და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დღემდე მიღწეულ შედეგებს. სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ გამოძიება ფრაგმენტულია და არ ემსახურება სრული სურათის აღდგენასა და დაზარალებულების ინტერესების სათანადო დაცვას. საგამოძიებო უწყება ორიენტირებულია სამართალდამცავების ინდივიდუალური

[13] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში: ,,2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები", გვ.4, ხელმისავწდომია: https://cutt.ly/Ati6kl29

[14] საქართველოს გენერალური პროკურორის 01.11.2019 წლის ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ" მე-8 მუხლი; საქართველოს კანონი „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" მე-19 მუხლი.

[15] საქართველოს ორგანული კანონი, "პროკურატურის შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/vrYCOAzT.

როლის გამოვლენაზე და ამ დრომდე არ გამოუკვეთავს ხელმძღვანელი რგოლის პასუხისმგებელ პირთა წრე.

წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა შესაბამისი უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას, საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომ მასალას და სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული, 51 დაზარალებულის საქმის მასალებს.[16]

1. წამების აკრძალვის პრინციპი და საგამოძიებო ორგანოს სპეციალური მანდატის გაუქმება სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე

წამების აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული აბსოლუტური უფლებაა, და ისეთ სიტუაციებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია[17] აბსოლუტურად კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების მოპყრობას ან დასჯას.[18] როგორც ევროპული კონვენციის, ისე გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAT)[19] მიზნებისთვის, ქმედების წამებად და არაადამიანურ მოპყრობად კლასიფიცირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექცევა მისი განხორციელების მოტივსა და მიზანს, კონტექსტს, მსხვერპლის მდგომარეობას, სქესს, ასაკს და მოწყვლადობის ხარისხს. ამასთან, ქმედებამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისთვის, რომ ის წამებად და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობად შეფასდეს.

წამების აკრძალვის პრინციპი, სახელმწიფოს, ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, აკისრებს ვალდებულებას მისი წარმომადგენლის და მისი სახელით მოქმედი პირის მეშვეობით, თავი შეიკავოს პირის წამებისგან და სხვაგვარი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან. მეორე მხრივ კი, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შექმნას მყარი საკანონმდებლო და ინსტიტუციური

---

[16]სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოადგენს აპრილსა და მაისში პარლამენტის და მთავრობის კანცელარიასთან, ასევე ი.ჭავჭავაძის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციებზე სამართალდამცავების მიერ არაპროროციული ძალის გამოყენებით დაკავებული 9 დაზარალებულის, ასევე, 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, პოლიციელთა არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებული 51 მსხვერპლის ინტერესებს.

[17] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/9rjcMS60.

[18] European Court of Human Rights, "Guide on Article 3 of the European Convention of Human Rights", Prohibition of Torture, updated on 31.08.2024, p. 6, Available at: https://cutt.ly/YrjvrN59.

[19] UN Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Available at: https://cutt.ly/TrjvtrVX.

ჩარჩო, წამების შემთხვევებზე რეაგირების, მათ შორის, შესაძლო წამების და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების განხორციელებისთვის.[20]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ერთ-ერთი ის სახელმწიფო ორგანო იყო, რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებისთვის არსებითი გარანტიები უნდა შეექმნა და რომლის ჩამოყალიბებაც, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი პირობა იყო. თავის დროზე პროკურატურისგან, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მანდატის დამოუკიდებელ საგამოძიებო სამსახურზე გადატანა, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების გაუმჯობესებად შეფასდა. სამართლისა და ადამიანის უფლებების სპეციალისტები მრავალი წლის განმავლობაში ითხოვდნენ ისეთი დამოუკიდებელი სამსახურის შექმნას, რომელიც სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, განსაკუთრებით კი წამების და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს გამოიძიებდა. 2019 წელს სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური,[21] რომელიც შედარებით მაღალი ინსტიტუციური დამოუკიდებლობით ხასიათდებოდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სამართალდამცავთა ჩადენილი სამოხელეო დანაშაულების გარდა, ითავსებდა პერსონალური მონაცემების დაცვაზე საზედამხედველო მანდატსაც, რაც მოგვიანებით, სამსახურის გაუქმებისა და მანდატების გამიჯვნის ფორმალურ საფუძვლად იქნა მითითებული.[22] სახელმწიფო ინსპექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების შეფასებებით სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახურის გაუქმების რეალური მიზეზი, მისი დამოუკიდებლობის შედარებით მაღალი ხარისხი იყო, რაც ხელისუფლებისთვის პოტენციურ საფრთხეს შეიცავდა. იმავეზე მიუთითებდა სამსახურის გაუქმების ფორმა, რაც სახელმწიფო ინსპექტორთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციის გარეშე მის დათხოვნაში გამოიხატა.[23]

სწორედ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შედეგად, 2022 წლის მარტში შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური და ამ უწყებამ გადაიბარა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულების გამოძიების მანდატი, როგორიცაა წამება, ან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა.[24]

---

[20] European Court of Human Rights, "Guide on Article 3 of the European Convention of Human Rights", Prohibition of Torture, updated on 31.08.2024, p. 6, Available at: https://cutt.ly/Lrjc0Oyf.

[21] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპეტორის შესახებ", ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Rrjc918R.

[22] „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების განმარტებითი ბარათი. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QrjBYssG.

[23] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, 26.12.2021, "არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით" ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/VrjvelQq. ასევე: რადიო თავისუფლება, 27.12.2024, "სახელმწიფო ინსპექტორი: უკმაყოფილება "ქართულმა ოცნებამ" ჩვენი გაუქმების კანონპროექტად აქცია" ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/arjc57Hp.

[24] საქართველოს გენერალური პროკურორის 01.11.2019 წლის ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ" მე-8 მუხლი; საქართველოს კანონი „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" მე-19 მუხლი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შექმნის წინმსწრები მოვლენების გათვალისწინებით, მისი დამოუკიდებლობის შესახებ კითხვები თავიდანვე არსებობდა. ამასთან, სამსახურის მანდატის გაფართოებამ, მათ შორის, ჟურნალისტურ საქმიანობაში განზრახ ხელის შეშლის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და ზოგიერთი საარჩევნო დანაშაულის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის ქვეშ მოქცევამ, გამოწვია კრიტიკა სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის დაუსაბუთებელ გაფართოებასთან და მისი შექმნის რეალური მიზნისგან გადახვევის შესახებ.[25]

ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობის არარსებობა, რაც სამსახურის დაარსებისთანავე ბადებდა ეჭვებს. ამაზე მიუთითებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაჩქარებული წესით, რამდენიმე დღეში გაუქმება სახელმწიფო ინსპექტორთან ყოველგვარი კონსულტაციის და კომუნიკაციის გარეშე. ახლადშექმნილი სამსახურისთვის, ერთი მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველი ორგანოს მანდატის ჩამორთმევა, მეორე მხრივ, კი მისი საგამოძიებო განსჯადობის დაუსაბუთებელი გაფართოება, სწორედ სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებიდან ფოკუსის გადატანას ემსახურებოდა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის რეალურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული არსებული კითხვები კიდევ უფრო გამძაფრდა 2024-2025 წლებში. 2024 წლის აპრილსა და მაისში, ეგრეთ წოდებული „რუსული კანონის“ მიღების, ასევე, ნოემბერსა და დეკემბერში, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დე ფაქტო შეჩერების გამო დაწყებული საპროტესტო გამოსვლების დროს, პოლიციის მხრიდან მოქალაქეებზე ძალადობის ასობით შემთხვევა დაფიქსირდა. საქართველოს სახალხო დამცველის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არაერთი ფაქტი. მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევის დოკუმენტირებული შემთხვევებისა, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პასუხისმგებლობის გამოკვეთა ვერც ერთ ეპიზოდზე ვერ შეძლო.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური და მისი მანდატი 2023-2024 წლის დასაწყისში უკვე იქცა ფართო განხილვისა და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად. ვენეციის კომისიამ 2023 წლის 18 დეკემბერს, გამოაქვეყნა მოსაზრება სამსახურის როგორც ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, ისე კანდიდატთა შესარჩევი კომისიის დაკომპლექტების და შერჩევის წესის შესახებ.[26] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის

---

[25] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველო, 14.01.2022, „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეშფოთებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/WrjBBCy0.

[26] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), GEORGIA, “OPINION ON THE LAW ON THE SPECIAL INVESTIGATION SERVICE AND ON THE PROVISIONS OF THE LAW ON PERSONAL DATA PROTECTION CONCERNING THE PERSONAL DATA PROTECTION SERVICE”, 2023, Available at: https://cutt.ly/2rjBMTYH.

უზრუნველყოფა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის კვალდაკვალ, ევროპული კომისიის მიერ, საქართველოსთვის განსაზღვრული 9 ნაბიჯის ერთ-ერთ არსებით პრიორიტეტს წარმოადგენდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საგამოძიებო ორგანოს სპეციალური მანდატის მნიშვნელობაზე.[27]

საქართველოს პარლამენტის მიერ არათუ არ შესრულდა ევროპული კომისიის ზემოაღნიშნული რეკომენდაციები სამსახურის/მისი ხელმძღვანელის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მიმართულებით,[28] არამედ სამსახური გაუქმდა და საგამოძიებო მანდატი თბილისის პროკურატურას გადაეცა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმება პრაქტიკულად ირეკლავს „ქართული ოცნების" მიერ, ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკიდან გადახვევას, უგულებელყოფს რა აქამდე მიღწეულ შედეგებსა და ევროსაბჭოს სტრუქტურების მიერ სახელმწიფოს მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს ადამიანის უფლებების დამცავი ორგანოების გაძლიერებისა და რეფორმირების კუთხით. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შექმნამდე, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულს, სწორედ საქართველოს პროკურატურა იძიებდა. პროკურატურიდან საგამოძიებო მანდატის დამოუკიდებელ სამსახურზე გადატანით, ეჭვქვეშ არ დამდგარა რეფორმისა და ახალი სამსახურის შექმნის კონსტიტუციურ წესრიგთან შესაბამისობის საკითხი, რაც საგამოძიებო სამსახურის გაუქმების ფორმალურად საფუძვლად დასახელდა 2025 წლის მაისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისას.[29]

2. არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების პროცესში არსებული ძირითადი ხარვეზები

2024 წლის აქციებზე ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიება, რამდენიმე არსებითი ხარვეზით ხასიათდება. პრობლემურია როგორც დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხი, ისე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარებლობა, ან არასათანადო მოცულობით ჩატარება.

---

[27]European Commission, 2023 Communication on EU Enlargement Policy. COM(2023) 690 final, Brussels, 8.11.2023. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/KrjNu1hX.

[28] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 29.05.2024, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონებში შესატანი ცვლილებები არასრულად ასახავს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს", ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/LrjBGHx6.

[29] სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/spetsialuri-sagamodziebo-samsakhuris-gaukmeba-samartaldamtsavebis-dausjelobis-saboloo-institutsiuri-gaformebaa-sotsialuri-samartlianobis-tsentris-shefaseba

2.1. არასათანადო მოპყრობის ფაქტების განზრახ არასწორი კვალიფიკაცია

2024 წლის აპრილსა და მაისში გამართულ აქციებზე სამართალდამცავთა მხრიდან დემონსტრანტების მიმართ არაპროპორციული ძალა არაერთხელ იქნა გამოყენებული.[30] სამართალდამცავების მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულზე გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების მუხლით 2024 წლის 16 აპრილს დაიწყო[31] და შემდგომი ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებაც აღნიშნული საქმის ფარგლებში მიმდინარეობს.

ანალოგიური მიდგომა იკვეთება 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციების დროს დაზარალებულ პირთა საქმეების გამოძიების ფარგლებშიც. კერძოდ, საქმეების გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც ძალადობით ან იარაღის მუქარით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებულ საქმეებში აშკარაა, რომ მსხვერპლთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები საქმეებზე კვალიფიკაციის შეცვლის არათუ უფლებამოსილებას, არამედ ვალდებულებასაც წარმოშობს.

ამავე მსუბუქი მუხლით მიმდინარეობს გამოძიება 2024 წლის 3 დეკემბერის უმძიმეს ეპიზოდზეც, როდესაც ალექსანდრე თირქიამ სპეცრაზმის მიერ გასროლილი ცრემლსადენი გაზის კაფსულის შედეგად უმძიმესი დაზიანებები მიიღო. ცრემლსადენი გაზის კაფსულის მოხვედრის შემდეგ ალექსანდრე თირქია ინგოროყვას კლინიკაში თავის ქალას და სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობებით, ტრავმული სუბდურული სისხლჩაქცევით, თავის ტვინის კეროვანი ტრავმით, სკალპის ღია ჭრილობით, ქუთუთოსა და პერიოკულური მიდამოს სხვა ზედაპირული ტრავმებით, და კონიუქტივური სისხლჩაქცევით გადაუყვანეს. მიღებული უმძიმესი დაზიანებების გამო, მას გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა და დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ხელოვნური ძილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ალექსანდრე თირქიას ამ დროისთვის ორი ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა ტრავმის შედეგად დაზიანებულ თვალში დღემდე მხედველობა მკვეთრად შეზღუდული აქვს და შუბლის ძვლის იმპლანტის და თვალის სამწვერა ნერვის აღდგენის მიზნით დამატებით ოპერაციებს საჭიროებს. მავდროულად იგი იგი დღემდე ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის რთულ პროცესს გადის.

გაზის კაფსულის დამიზნებით გამოყენება უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს და არღვევს პროპორციულობის მოთხოვნებს. კერძოდ, Amnesty

---

[30] რადიო თავისუფლება, 13.05.2024, „წიხლები და მუშტები ხელებშეკრულ დემონსტრანტებს - წახალისებული ძალადობა?“ ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/yeIUA4pi.

[31] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

International-ის თანახმად, ქიმიური სპეციალური საშუალებების ჭურვით გასროლას, თუ ის ადამიანს პირდაპირ მოხვდა, შეუძლია გამოიწვიოს გამჭოლი ჭრილობები, ტვინის შერყევა, სხვა დაზიანებები და სიკვდილიც კი.[32] ამ მძიმე საფრთხეების გათვალისწინებით, გაზის კაფსულებისთვის ადამიანებისთვის დამიზნება დაუშვებელია. უნდა აღინიშნოს, რომ შსს-ს მიერ გამოყენებული ცრემლსადენი გაზის კაფსულის, GL 202-ის მწარმოებლის ინსტრუქციებშიც მსგავსი მითითებაა გაცემული: ეს საშუალება გასროლილი უნდა იყოს 45 გრადუსიანი დახრით, რადგან ადამიანის მიმართ ამ იარაღის პირდაპირ გასროლამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაზიანება ან სიკვდილი.[33]

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებულ სხვა საქმეებშიც, პოლიციის მხრიდან გამოყენებულ ფიზიკურ ძალას მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ უმეტესად დემონსტრაციული ფიზიკური ძალადობის სახე ჰქონდა. დაკავებულებზე ფიზიკურ ძალადობას (სხეულის სხვადასხვა ადგილებში მუშტების და წიხლების დარტყმა, თმით თრევა, ძალის გამოყენებით ძირს დაგდება, შეფურთხება და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მას შემდეგ, რაც პროტესტის მონაწილეები პოლიციის ეფექტური კონტროლს ექვემდებარებოდნენ) სისტემური სახე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, გამოძიება ამ დრომდე ზოგადი (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება)[34] და არა სპეციალური (წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა)[35] მუხლით მიმდინარეობს.

არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ამავე მიდგომას აფიქსირებს საქართველოს სახალხო დამცველი. მისი შეფასებით, „მომხდარი სისტემური არასათანადო მოპყრობის „უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებით“ კვალიფიცირება არ ასახავს მომიტინგეთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ხასიათს, ინტენსივობასა და მასშტაბურობას“. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ძალადობის მეთოდები და ინტენსივობა, ასევე ძალადობის მიზანი, „თითქმის ყველა შემთხვევაში მიანიშნებს არაადამიანურ, დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე და მეტიც, რიგ ეპიზოდებში წამების ხარისხსაც აღწევს.“[36]

---

[32] Amnesty International, Chemical Irritants in Law Enforcement, 2021, p. 7, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/7toa8u9V

[33] ტვ ფორმულა, „რით გვარბევს და გვწამლავს ივანიშვილის რეჟიმი?!“, 09.12.2024 https://www.facebook.com/DroebaOfficial/videos/1251722559435075

[34] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი.

[35] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლი.

[36] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024 წელი, გვ. 81, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/CrjN8JUo.

მაგალითისთვის, დაზარალებული ნ.მ. აღწერს, რომ ის საპროტესტო აქციის მიმდებარედ დააკავეს და მას ფაქტობრივი დაკავების შემდგომ, 10-ზე მეტი პოლიციელი ურტყამდა.[37] დაზარალებული, სხეულის დაზიანების გარდა, უთითებს ძლიერი ფსიქიკური ტანჯვის განცდაზე, რის გამოც მას პანიკური შეტევა დაემართა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა. საქმის გარემოებებით ირკვევა, რომ მის მიმართ გამოყენებული ძალადობა საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო დასჯას ემსახურებოდა, რადგან, არ იკვეთება მსხვერპლის მიერ რაიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რასაც შეიძლება, რომ მისი დაკავების ფორმალური საფუძველი შეექმნა. სხვა მსხვერპლი, ვ.ბ. უთითებს, რომ ის საპროტესტო აქციაზე დაკავების შემდგომ, 5-6 სამართალდამცავის მხრიდან სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა. კერძოდ, ის ძირს დააგდეს და გამეტებით ურტყამდნენ, მათ შორის თავში. დაზარალებული აღწერს, რომ პოლიციის მანქანაში, მას დასჯის მიზნით ხელები ისე მჭიდროდ შეუკრეს, რომ ამან სისხლის მიმოქცევის შეფერხება და ხელების გალურჯება და გასიება გამოიწვია.

არაერთ ეპიზოდში დაზარალებულები უთითებენ იმგვარ მოპყრობაზე, რომლის ერთადერთი მიზანიც ტკივილის მიყენება და დასჯა ან დამცირება შეიძლება იყოს. მის მიმართ მძიმე მოპყრობაზე საუბრობს სოციალური სამართლიანობის ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფი კიდევ ერთი, დაზარალებული ბ.დ.-ც, რომლის განმარტებითაც, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ის ცემის თანხლებით ძირს დააგდეს, ხოლო შემდგომ კი წაქცეულს ურტყამდნენ წიხლებს, მათ შორის სახის არეში. დაზარალებულის თქმით, ასფალტზე წოლისას, მას ასევე ხელის მტევანზე განზრახ შედგა რამდენიმე „რობოკოპი“ და რამდენიმე წუთით გაჩერდა, რის შედეგადაც მან ძლიერი ტკივილი განიცადა. მისი განმარტებით, მისი ცემა, მათ შორის სახისა და კეფის არეში გაგრძელდა მიკროავტობუსში მოთავსების შემდგომაც.

წამების და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ნიშნების გამოკვეთა და მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისგან გამიჯვნა (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ბუნდოვანი საკანონმდებლო მოწესრიგების გამო, პრაქტიკაში გარკვეულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, უფრო მკაფიო ზღვრის გავლების მიზნით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2023 წელს „წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის სახელმძღვანელო“ დაამტკიცა.[38] დოკუმენტში მიმოხილულია ის სახელმძღვანელო პრინციპები, თუ როდის უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როგორც წამება/არასათანადო მოპყრობა და რა შემთხვევაშია იგი სამოხელეო დანაშაული. დოკუმენტის მიხედვით, კვალიფიკაცია დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, განხორციელებული

[37] ნ.მ-ს გასაუბრების ოქმი სოციალური სამართლიანობის ცენტრის თანამშრომელთან.

[38] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის 2023 წლის 31 ივლისს ბრძანება https://sis.gov.ge/uploads/files/wamebis-da-arasatanado-mopyrobis-faqtebis-kvalifikaciis--gamijvnis-saxelmdzgvanelo-dokumenti.pdf

მოპყრობა იწვევს თუ არა ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვას. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავის ქმედება არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ინტენსივობით და ვერ აღწევს არასათანადო მოპყრობის მინიმალურ ზღვარს, მხოლოდ მაშინ გვაქვს სავარაუდო სამოხელეო დანაშაული. სახელმძღვანელოს მიხედვით, ქმედებები, რომლებიც ვერ აღწევს წამების მუხლით კვალიფიკაციისთვის დამახასიათებელი ფიზიკური ტკივილის ან ფსიქიკური/მორალური ტანჯვის ინტენსივობას, თუმცა იწვევს პირის ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას და მსხვერპლში წარმოშობს არასრულფასოვნების განცდას/იწვევს მის დამცირებასა და დაკნინებას, რეკომენდებულია არასათანადო მოპყრობის შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირდეს.

უფრო კონკრეტულად კი, დოკუმენტის მიხედვით, ქმედების წამებად კვალიფიკაცია რამდენიმე ძირითადი ელემენტის გათვალისწინებით უნდა მოხდეს:

- ქმედების მიზანი: პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება ან მსხვერპლის დასჯა;
- ქმედების შედეგი: განსაკუთრებული ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა;
- გარემოებები: ხორციელდება ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, მაგ.: პოლიციის განყოფილებაში, პოლიციის მანქანაში, პენიტენციურ დაწესებულებაში, და პირი რომლის მიმართაც გამოიყენება ძალა, არ წევს წინააღმდეგობას;
- ძალის გამოყენების უფლება: სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს არ/აღარ ჰქონდა ძალის გამოყენების უფლება; ძალის გამოყენება არ მართლდება ლეგიტიმური მიზნით.

თუ ამგვარი მოპყრობა აღწევს სისასტიკის შესაბამის ზღვარს და ხორციელდება განზრახ, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 144[1], წამების მუხლით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პირს მიადგა, არა განსაკუთრებული, არამედ გარკვეული ხარისხის ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა, ქმედება 144[3], დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლით უნდა წარიმართოს. ქმედება შესაძლებელია 333-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს მხოლოდ მაშინ, თუ განხორციელებული მოპყრობა არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ინტენსივობით და ვერ აღწევს არასათანადო მოპყრობის მინიმალურ ზღვარს, ამავდროულად, თუ არ იკვეთება დამცირების, არაადამიანური მოპყრობის, პატივისა და ღირსების შელახვის მიზანი.[39]

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლებით (სსკ-ის 144[1]-144[3]) გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებს თან ახლავს დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის

[39] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით“, გვ. 14-16. ხელმისაწვდომია: https://sis.gov.ge/investigative-policy?rec_id=3

ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო, აგრეთვე მისი ჩადენა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეების ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ დაზარალებულად ცნობილი პირები მონაწილეობას იღებდნენ საპროტესტო აქციაში, გამოხატავდნენ საკუთარ შეხედულებებს და სწორედ სხვა შეხედულებების გამო გახდნენ სპეცრაზმელების სამიზნეები. სპეცრაზმელთა დისკრიმინაციულ განწყობებს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დაზარალებული პირების უმრავლესობას სპეცრაზმელები სწორედ პროტესტთან დაკავშირებით უსვამდნენ კითხვებს და პასუხის მიღების შემდგომ აყენებდნენ მძიმე ფიზიკურ შეურაცხყოფას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სპეცრაზმელები ჯგუფურად ძალადობდნენ ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფ პირებზე, რომლების არანაირ წინააღმდეგობას არ წევდნენ და დაკავებულ პირებს არაერთი სპეცრაზმელი ერთდროულად ურტყამდა.

ქმედების სწორად დაკვალიფიცირების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ხაზგასმული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მოპყრობა შეიძლება შეფასდეს დამამცირებლად, თუკი სახეზეა სისასტიკის მინიმალური დონე, რაც კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მოპყრობის ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და მენტალურ ეფექტებზეა დამოკიდებული.[40] მოპყრობა, რომელიც ინდივიდში აღძრავს შიშს, დაკნინების, დაუცველობის გრძნობას, ტკივილს, განიხილება დამამცირებელ მოპყრობად. დადგენილი პრაქტიკით, საკმარისია, მსხვერპლი დამცირებულად გრძნობდეს თავს, სხვათა შეხედულების მიუხედავად.[41]

იმისათვის, რომ ზუსტად მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია, საგამოძიებო ორგანომ გამოძიება სწორედ იმ მუხლით უნდა წარმართოს, რომელიც მას წამების დანაშაულის ნიშნების შემოწმების სამართლებრივ ჩარჩოს სთავაზობს. სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით: „კანონმდებლობის პრევენციული ეფექტი, რომელიც მიღებულ იქნა კონკრეტული მიზნით, რომ დაპირისპირებოდა წამების ფენომენს, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც მოცემული კანონმდებლობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, რისთვისაც იგი იქნა მიღებული" […] „სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების არდაწყება წამების მუხლით და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ქმედების სხვა მუხლით დაკვალიფიცირება არასაკმარისია, რათა

[40] Ireland v. the United Kingdom, no. 5310/71, 18.01.1978, §162.

[41] Vasyukov v. Russia, no. 2974/05, 05.04.2011 § 59; Đorđević v. Croatia, no. 41526/10, 24.07.2012, § 95 M.S.S. v. Belgium and Greece, no. 30696/09, 21.01.2011, §220, Bouyid v. Belgium, no. 23380/09, 28.09.2015, §87.

უზრუნველყოფილ იქნეს იმ საკანონმდებლო დებულებების პრევენციული ეფექტი, რომლებიც ემსახურება წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აკრძალვას.“[42]

გარდა ზემოაღნიშნულისა, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მოქმედებს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი დანაშაულის ხანდაზმულობის, ან პირთან განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების გაფორმების ნაწილში. კერძოდ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლებზე (სსკ-ის 144[1]-144[3]) არ ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადები, შესაბამისად, მითითებულ დანაშაულზე პირის პასუხისგებაში მიცემას საპროცესო ვადები არ ბოჭავს და უვადოა. გარდა ამისა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლებზე, დაუშვებელია ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან სრული გათავისუფლება, თუნდაც მასსა და გენერალურ პროკურორს შორის იდებოდეს საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ. მეტიც, კანონმდებლობა განსხავებულ რეჟიმს აწესებს წამების საქმის გამოძიების დროს ფარული საგამოძიებო მოქმედების გახანგრძლივებისა და პირისთვის მის მიმართ მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების შეტყობინების გადავადების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია იძლევა მკაფიო სამართლებრივ საფუძველს, რომ რიგ საქმეებში, გამოძიება წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციით წარიმართოს, როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის აქციებთან დაკავშირებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური და ახლა უკვე თბილისის პროკურატურა, განზრახ, უფრო მსუბუქი და ზოგადი, სამოხელეო დანაშაულის ფარგლებში წარმართავს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, პროკურატურას კვალიფიკაციის შეცვლის და გამოძიების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-ე, 144[3]-ე მუხლებით (რაც წამებას, დამამცირებელ, არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს) გაგრძელების თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობით არაერთხელ უშედეგოდ მიმართა. პროკურატურის წერილის თანახმად, „ზემოაღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს აქტიურ რეჟიმში, საქმეზე ინტენსიურად ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, საქმეზე ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება მტკიცებულებების მოპოვება. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე კვალიფიკაციის დამატების საკითხი გადაწყდება საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად.“[43]

---

[42] Case of Valeriu and Nicolae Rosca v. Moldova, *(Application no. 41704/02)* ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/#{%22itemid%22:[%22001-95259%22]}

[43] საქართველოს პროკურატურის წერილი N. 13/17847, 20.03.2025; საქართველოს პროკურატურის წერილი N. 13/01-60172, 21.08.2025;

2.2. გამოძიების პროცესში დაზარალებულად ცნობის გაჭიანურება და საქმის მასალების გადმოცემაზე უარის უკანონობა

გარდა ინსტიტუციური გამოწვევებისა, სპეციალური საგამოძიებო მანდატის გაუქმებამ და გამოძიების თბილისის პროკურატურისთვის გადაცემამ კიდევ უფრო დაამძიმა დაზარალებულთა უფლებრივ მდგომარეობა. კერძოდ, თბილისის პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჭიანურდება სოციალური სამართლიანობის ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, იმ საფუძვლით რომ მიღებული არ არის სამედიცინო ექპერტიზის დასკვნა. მოქმედი კანონმდებლობით,[44] პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობა დამოკიდებულია დანაშაულებრივი ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ვარაუდის არსებობაზე, თუმცა დაზარალებულის სტატუსის მინიჭება არ უკავშირდება ისეთ პროცესუალურ მოქმედებებს, როგორიცაა კონკრეტული პირის ბრალდებულად ცნობა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შედეგების მიღება.

გარდა ამისა, დაუსაბუთებლად იზღუდება დაზარალებულებისთვის საქმის მასალების გადმოცემისა და გაცნობის საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზარალებულს აქვს უფლება მიიღოს საქმის მასალები. თუმცა, ამ უფლების მიუხედავად, პროკურატურა უარს ამბობს საქმის მასალების სრულად გადმოცემაზე გამოძიების ინტერესების ფორმალური საფუძვლით და საქმის მასალების ნაწილის მხოლოდ საგამოძიებო ორგანოში გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. შეზღუდვის საფუძვლად განმარტებულია, რომ ამ ინფორმაციის დაზარალებულებისთვის გადაცემამ შესაძლოა დააზიანოს გამოძიების ინტერესები, ვინაიდან არსებობს მასალების გასაჯაროების ან/და მოწმეებზე ზემოქმედების რისკი. საქმის მასალების ასლების საგამოძიებო უწყებაში გაცნობის გზით, ჩვენთვის იდენტიფიცირებადი გახდა, რომ დასახელებული საფუძვლით პროკურატურა იმ სამართალდამცავების გამოკითხვების ოქმების გადმოცემაზე ამბობს უარს, რომლებიც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირების დაკავების ოქმებში დამკავებლებად არიან მითითებული. შესაბამისად, ბუნდოვანია როგორ შეიძლება დაზარალებულმა გავლენა მოახდინოს მოწმე პოლიციელთა ჩვენებებზე, რომლებიც გამოძიების ფარგლებში უკვე გამოიკითხნენ. ამასთანავე, მიმდინარე გამოძიების პროგრესის მიმართ არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი, რის გამოც საჯაროობა გამოძიების ეფექტური მიმდინარეობის ზედამხედველობის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

ჩვენი შეფასებით, პროკურატურის დასახელებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია, რაც ხელს უშლის დაზარალებულებსა და მათ ადვოკატებს სრულყოფილად, სათანადო გააზრების პირობებში გაანალიზონ საქმის მასალების შინაარსი. ეს გადაწყვეტილება ხელს უშლის დაზარალებულების უფლების ეფექტიან რეალიზებას და გამოძიების რეალურ ანგარიშვალდებულებას. მით უფრო იმ ფონზე, ამავე საქმის გამოძიების სპეციალურ

[44] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსის 56-ე მუხლი;

საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობისას, პირის დაზარალებულად ცნობა დამოკიდებული არ ყოფილა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღებაზე და იმავე პერიოდში უკვე გადმოგვეცა დამკავებელი პირების ანალოგიური შინაარსის გამოკითხვის ოქმების ასლები.

2.3 საპროცესო მოქმედებების ჩაუტარებლობა ან არასათანადოდ ჩატარება

როგორც 2024 წლის გაზაფხულზე, ისე ზამთრის აქციებზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩაატარა. გამოძიების დაწყებისთანავე შეიქმნა მოწმეთა ბაზა, რომელთა გამოკითხვაც ხდებოდა ეტაპობრივად. დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზები, დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები.[45]

მიუხედავად ამისა, ჯერ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში და შემდგომ თბილისის პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება არსებითი ხარვეზებით ხასიათდება როგორც დროულობის, ისე ეფექტიანობის კუთხით. საქმეთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საგამოძიებო უწყებას ამ დრომდე არ ჩაუტარებია რელევანტური საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, რომლებიც შესაძლოა ცალკეული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს ავლენდეს.

2.3.1. შსს-ს ცალკეული თანამშრომლების გამოკითხვა

შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შსს-ს თანამშრომელთა ქცევას რამდენიმე სამართლებრივი აქტი არეგულირებს, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N1002, რომელიც ადგენს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციას. ინსტრუქციის მე-5 მუხლის მიხედვით, შეკრებისა და მანიფესტაციის დროს, როდესაც არსებობს სპეციალური ღონისძიებების ჩატარების, სპეციალური საშუალებების გამოყენების და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ჩართვის აუცილებლობა, მუშავდება შეკრების უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.[46] ამავე მუხლის თანახმად, სამოქმედო გეგმის მიხედვით განისაზღვრება სპეციალური ღონისძიების ხელმძღვანელი პირი,[47] რომლის დაქვემდებარებაშიც გადადის ღონისძიებაში მონაწილე შესაბამისი დანაყოფები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. ამასთან, სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირებისა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების

---

[45] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 2024 წლის აპრილსა და მაისში მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, 7 მაისი, 2024 https://cutt.ly/WrjMe0dt. სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქმიანობის ანგარიში, 2024, გვ. 66, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/xrjMo6sy.

[46] ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 30 დეკემბრის №1002; ინსტრუქციის მე-5 მუხლი.

[47] იქვე, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

მონაცემები.[48] შესაბამისად, სპეციალური ღონისძიების განხორციელების დროს, სამართალდამცავი ორგანოს რიგითი თანამშრომლები დამოუკიდებლად არ მოქმედებენ და პასუხისმგებელი პირის მითითებებს ემორჩილებიან. აქედან გამომდინარე, გამოძიების ფარგლებში მნიშვნელოვანია დადგინდეს, აქციების დარბევისას არსებობდა თუ არა ხელმძღვანელი პირის თანხმობა, რა მიზნითაც არსებითია როგორც რიგით პოლიციელთა გამოკითხვა, ისე გადაწყვეტილების მიმღებთა ჩვენებების მოპოვება.

საგამოძიებო უწყებამ ინციდენტში მონაწილე სამართალდამცავების დადგენის მიზნით, დემონსტრანტების დამკავებელი და დაკავებულთან შემხებლობაში მყოფი პირების ვინაობის შესახებ მონაცემები გამოითხოვა. სამსახურს სამინისტროსგან იმ პირთა შესახებ მიეწოდა ინფორმაცია, ვინც დაკავებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმებში დამკავებლად იყვნენ მითითებულნი.

როგორც საჯაროდ გავრცელებული კადრებიდანაც ჩანს, პარლამენტის მიმდებარედ აქციის მონაწილეებს, ძირითადად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და კრიმინალური პოლიციის ის ნიღბიანი თანამშრომლები აკავებდნენ, რომლებიც პოლიციის კორდონებში წინა ხაზებზე იდგნენ. დაკავების შემდგომ დემონსტრანტებს პოლიციის კორდონის უკანა რიგებში ფიზიკურად უსწორდებოდნენ, შემდეგ კი საერთოდ სხვა თანამშრომლების მიერ ხდებოდა მათი ტრანსპორტირება პოლიციის განყოფილებაში.[49] უმეტესწილად, ფიზიკური ძალადობა სწორედ დაკავების პროცესში და იზოლატორებში გადაყვანის დროს ხორციელდებოდა. დამკავებლად კი უმეტესად ფორმდებოდნენ ლოჯისტიკური, ტრანსპორტირების ფუნქციის განმახორციელებელი თანამშრომლები, ვისაც დაკავებასა და ძალადობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ:

,,პარლამენტის მიმართულებით ვიდექით შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები. წინა რიგებში, შესაბამისად ყველაზე ახლოს მომიტინგეებთან განლაგებულნი იყვნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, რობოკოპები და ნიღბიანი სპეცრაზმელები. …[დაკავებულს] მასთან უფრო ახლოს მყოფმა გდდ-ს თანამშრომლებმა მოკიდეს ხელი სხეულის სხვადასხვა ნაწილში და მოახდინეს ფაქტობრივი დაკავება. იყო საკმაოდ არეული, ქაოტური სიტუაცია. ხალხი ირეოდა ერთმანეთში. ამის შემდგომ დავინახეთ, რომ დაკავებული მამაკაცი მოჰყავდათ ჩვენკენ. მოგვიყვანეს და გადმოგვცეს. სპეცრაზმელები დაბრუნდნენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე".[50]

,,ჩვენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს არ გვეცვა შესაბამისი ეკიპირება, ჩვენს წინ ჩვენივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე იდგნენ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა

---

[48] იქვე, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

[49]სს საქმის N199160424002 მასალები;

[50] სს საქმის N199160424002 მასალები;

დეპარტამენტის ნიღბიანი სპეციალური ეკიპირებიანი თანამშრომლები ე.წ ,,რობოკოპები" რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ ჩაფხუტებით და ფარებით. ჩვენი მითითებით გდდ-ს თანამშრომლებმა დააკავეს რამდენიმე აგრესიული მომიტინგე, მათ შორის, როგორც შემდგომ აღმოჩნდა მომიტინგე მ.ზ. გდდ-ს თანამშრომლებმა დაკავებული მოიყვანეს ჩემთან, რის შემდეგაც მ.ზ სხვა დაკავებულებთან ერთად ჩავსვი პოლიციის კუთვნილ ,,ფორდის" ფირმის მიკროავტობუსში და სხვა პოლიციელების თანხლებით გადავიყვანე თბილისში, ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში, სადაც შევადგინე მ.ზ-ს ადმინისტრაციული დაკავების ოქმი და მოვახდინე მისი პირადი გასინჯვა."[51]

,,დაახლოებით 04:00 საათზე ორმა თუ სამმა სპეცრაზმელმა ჩემთან მოიყვანა დაკავებული ბ.ბ, რომელიც იგინებოდა და კორდონს არღვევდა, რომელსაც დავადე ხელბორკილი და I სკოლის წინ გაჩერებულ საპატრულო მინივენში ჩავსვი. მე დაკავებული გადავიბარე იზოლატორში შესახლების მიზნით. ... კონკრეტულად სად მოხდა მისი დაკავება ჩემთვის უცნობია. გადმობარებისას, როგორც სპეცრაზმის თანამშრომლებმა განმიმარტეს დაკავებული პარლამენტის მიმდებარედ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციას და პოლიციის კორდონის გარღვევას ცდილობდა. ადგილზე დაძაბულობა იყო, გადმობარების შემდგომ, ისინი სპეცრაზმელების მწკრივებს შეუერთდნენ და არ მქონდა მათი ვინაობის დადგენის შესაძლებლობა, შემდგომ კი საერთოდ შეუძლებელი იყო ისინი გამომერჩია".

როგორც აღინიშნა, გამოძიების ფარგლებში მხოლოდ დამკავებლად გაფორმებული პოლიციის თანამშრომლები გამოიკითხნენ. იდენტიფიცირების შეუძლებლობის საფუძვლით ამ დრომდე არ გამოკითხულა სპეციალური დანიშნულების ერთი წევრი, რომლებიც ფაქტობრივად აკავებდნენ და ფიზიკურად ძალადობდნენ აქციის მონაწილეებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, გამოძიება და შემდგომი სამართალწარმოებები უნდა წარიმართოს დროულად და გონივრულად სწრაფად. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა მათ შორის იმ ფაქტს, თუ რა ვადაში ჩატარდება გამოკითხვები.[52]

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის აქციების დროს დაზარალებული პირების დამკავებელი სამართალდამცავები ნახევარი და თითქმის 1 წლის დაგვიანებით გამოიკითხნენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამ დრომდე არ გამოკითხულან, რაც ევროპული კონვენციით დადგენილ გამოძიების დროულობის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

---

[51] სს საქმის N199291124001 მასალები;

[52] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება Mikheev v. Russia, პ 109.

2.3.3. სამართალდამცავთა იდენტიფიცირების პრობლემა

მოქალაქეზე ძალადობისა და მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს, ერთი მხრივ, პოლიციის თანამშრომლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, მეორე მხრივ კი, მომხდარის შესახებ დაზარალებულისა და თვითმხილველ მოწმეთა სრულიად საპირისპირო პოზიციის შეფასება უწევს. არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებულის მიერ მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის დაზიანების წარმოშობის შესახებ ამყარებს მედიისა თუ ნეიტრალური მოწმეების მიერ გადაღებული ვიდეო კადრები. აღნიშნულის მიუხედავად, სამართალდამცავების ვინაობის დადგენის შეუძლებლობის გამო მათ მიმართ არა თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, გამოძიების ეტაპზე მათი ჯეროვანი გამოკითხვაც ვერ ხორციელდება.

არასათანადო მოპყრობის საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ აქციის მონაწილეების მიმართ ძალადობასა და არასათანადო მოპყრობის გამოძიებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიციის უნიფორმებზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ქონას და მოქალაქესთან პოლიციის კომუნიკაციის სავალდებულო წესით ტექნიკური საშუალებით დოკუმენტირებას ენიჭება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შეკრება-მანიფესტაციების დროს, როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის აქციებზე, სპეციალური აღჭურვილობის მქონე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების გარდა, მომიტინგეებთან აქტიურ შემხებლობაში მყოფი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები სამედიცინო პირბადეებს ატარებდნენ ხოლმე. ცხადია, ამ სახის ნიღბების გამოყენება ვერ უზრუნველყოფდა მათ ეფექტიან დაცვას ცრემლსადენი გაზისგან თუ სხვა სახის სპეციალური საშუალებებისგან და მსგავსი ეკიპირების ერთადერთი მიზანი, ვინაობის დამალვა იყო.

როგორც აღინიშნა, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შსს მოსამსახურეთა ქცევის წესები, მათ შორის, სპეციალური საშუალებების გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებებით განისაზღვრება. შსს-ს მინისტრის ბრძანებით, შეკრების/მანიფესტაციის დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა იდენტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი ფორმის ტანსაცმლით ან/და შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნით.[53]

მიუხედავად ამისა, დარბევაში მონაწილე სპეცრაზმელებს და სხვა პოლიციელებს მასობრივად არ ჰქონდათ მაიდენტიფიცირებელი ნომრები და სხვა ნიშნები, რაც სასტიკ დანაშაულებში მონაწილე პირების გამოძიების მიერ გამოვლენას ართულებს. შსს-ს მიერ საგამოძიებო

---

[53] ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 30 დეკემბრის №1002, მუხლი 4, პუნქტი 5.

უწყებისთვის გაგზავნილ წერილში[54] აღნიშნულია შემდეგი: ,,შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მოსამსახურეებზე სპეციალური საშუალებებისა და აღჭურვილობის გადაცემა ხორციელდება რაოდენობრივად, კონკრეტული ნომრის მითითების გარეშე, დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით. სპეციალური აღჭურვილობის კომპლექტი მოიცავს ჩაფხუტს, ფარს, ხელკეტს, აირწინაღსა და დამცავ საშუალებებს ე.წ ,,რობოკოპს". ,,სპეციალური საშუალებების, აღჭურვილობის, სანივთე ქონების აღრიცხვისა და მიმაგრების წიგნში"[55] ხდება მოსამსახურეზე მიმაგრებული სპეციალური აღჭურვილობის კომპლექტის ერთჯერადად გატარება, ნომრის მითითების გარეშე. აღნიშნული წიგნი ინდივიდუალურად ინახება დეპარტამენტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში. დანაყოფების მიერ კი არ ხორციელდება მოსამსახურეთა აღრიცხვა ჩაფხუტის ნომრების მითითებით. შესაბამისად, სამინისტრო ჩაფხუტების მიმაგრების საკითხთან დაკავშირებით მოკლებულია შესაძლებლობას, ინფორმაცია მიაწოდოს საგამოძიებო სამსახურს, ვინაიდან აღჭურვილობაზე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითება არ ხდება."

შსს-ს მიერ გამოძიების ფარგლებში მიწოდებული ინფორმაციის საპირისპიროდ, აქციებთან დაკავშირებით დაკავებული 11 პირის[56] სს საქმის სასამართლო პროცესზე 17 ივლისს გდდ-ს თანამშრომლების ლაშა გელაშვილისა და გიორგი გობრონიძის ჩვენებებით, მათ აქციაზე საიდენტიფიკაციო ნომრები ჰქონდათ და მათი ამოცნობა შესაძლებელი იყო. გობრონიძის განმარტებით, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი 106-ია, ლაშა გელაშვილის კი-36. ლაშა გელაშვილმა ჩვენებით ეს ნომერი მას ჩაფხუტზე ეწერა. გობრონიძის მიერ სასამართლოში მიწოდებული ინფორმაციით კი ამომცნობი ნომერი ჩაფხუტზეც და ზურგზეც ეწერა, რომელიც იმდენად პატარაა, რომ წინიდან გადაღებულ კადრებში არ გამოჩნდებოდა". გიორგი გობრონიძემ ამავე პროცესზე დაასახელა მისი ხელმძღვანელის- მიხეილ ლამაზიშვილის ვინაობაც. მოწმეებმა სასამართლო პროცესზე განმარტეს გდდ-ს წევრებისგან დაკომპლექტებულ ე.წ ,,ამყვანების" და სხვა ტიპის დანაყოფის არსებობაზეც[57], რაც ასევე დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, ირაკლი შაიშმელაშვილმა ტვ პირველთან 2024 წლის 28 დეკემბერს მიცემულ ინტერვიუში. შაიშმელაშვილის განმარტებით, დაკავების ჯგუფების გარდა აქციების დროს ე.წ. რობოკოპები მონაწილეობენ, რომლებიც ძირითადად მოქმედებენ „კოლოფის" შემადგენლობაში არიან. ვინაიდან აღნიშნული გარემოება არასათანადო მოპყრობის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში

---

[54] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;

[55]განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის 3348201 ბრძანება და ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული დანართი N14.

[56] ბრალდებულები ანდრო ჭიჭინაძე, ონისე ცხადაძე, გურამ მირცხულავა, ჯანო არჩაია, ლუკა ჯაბუა, რუსლან სივაკოვი,რევაზ კიკნაძე,გიორგი ტერიშვილი, ვალერი თეთრაშვილი, სერგეი კუხარჩუკი, ირაკლი ქერაშვილი;

[57] რადიო თავისუფლება, ნომრიანი ჩაფხუტები, „ამყვანები" და ხმა რაციაში - რა თქვეს სპეცრაზმელებმა დაკითხვაზე 18.07.2025, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qtou33dz

მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენდა და საჭირო იყო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შესაბამისი შუამდგომლობით საგამოძიებო უწყებას მიმართა. თუმცა, ამ დრომდე უცნობია უზრუნველყო თუ არა საგამოძიებო ორგანომ შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელება. შესაბამისად, გაურკვეველია რით იხსნება შსს-ს მიერ გამოძიების ფარგლებში მიწოდებულ ინფორმაციასა და ზემოთ დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობები.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური როგორც 2023, ისე 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში, აქციის საქმეების გამოძიების მთავარ სირთულეებს შორის სამართალდამცავების იდენტიფიცირების შეუძლებლობას ასახელებს. ანგარიშებში მითითებულია, რომ საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აღჭურვილნი არიან სპეციალური ფორმებით (ე.წ. „რობოკოპით"/ჩაფხუტით ან/და ნიღბით), რომელზეც არ არის დატანილი მაიდენტიფიცირებელი მონაცემი.

შესაბამისად, ძალადობის ფაქტების თვითმხილველი პირების არსებობის შემთხვევაშიც კი თითქმის შეუძლებელია არაპროპორციული ძალის გამომყენებელი სამართალდამცველის იდენტიფიცირება და ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება.[58]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, 2024 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ სპეციალური აღჭურვილობის მქონე თანამშრომელთა ინდეტიფიკაციის ერთ-ერთი ფორმა, შესაძლოა საპოლიციო ღონისძიების ადგილზე მისვლის და მისი შემდგომი გადაადგილების ამსახველი კადრების ვიდეოანალიზი იყოს, თუმცა, როგორც წესი, აქციაზე შეკრებილი ხალხის მასა და გადაადგილება შეუძლებელს ხდის კონკრეტული პირის მოძრაობის სრული სურათის აღდგენას.[59] აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, რომ არსებობდეს სამართალდამრღვევის ამსახველი უწყვეტი კადრი, ამას თითქმის არანაირი ეფექტი არ ექნება, თუ პოლიციელები არ აღიჭურვებიან ინდივიდუალური განმასხვავებელი ნომრით ან ნიშნით, რადგან, ვერ მოხდება მათი იდენტიფიკაცია. შესაბამისად, სამართალდამცავთა საიდენტიფიკაციო ნომრით მონიშვნა შეკრება მანიფესტაციებზე ჩადენილი გადაცდომებისა და დანაშაულების გამოძიების უმთავრეს მექანიზმად რჩება.

სამართალდამცავების იდენტიფიცირების შეუძლებლობის პრაქტიკა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც სამართალდამცავთა ქმედებების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას მოითხოვს. არაადამიანური მოპყრობის ფაქტების დროული გამოძიება და დამნაშავეების იდენტიფიცირება აუცილებელია მოქალაქეთა უფლებების დასაცავად და სამართლის უზენაესობის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა

---

[58] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქმიანობის ანგარიში, 2023 წელი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/vw60KYAa გვ. 71; სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქმიანობის ანგარიში, 2024 წელი, გვ. 65-66, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/xrjMo6sy.

[59] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქმიანობის ანგარიში, 2024 წელი, გვ. 65, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/xrjMo6sy.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-13 მუხლთან (უფლება სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებაზე) შეუსაბამოდ მიიჩნია სამართალდამცავების იდენტიფიცირების გამომრიცხავი კანონმდებლობა და პრაქტიკა. სასამართლოს განმარტებით, პოლიციელების კონფიდენციალურობა უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური საშუალებაა, თუმცა, ეს არ უნდა აბრკოლებდეს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიებას. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ დამცავი საშუალებები პოლიციამ მხოლოდ აშკარა წინააღმდეგობის რისკის პირობებში უნდა გამოიყენოს და ამ შემთხვევაშიც მას საიდენტიფიკაციო ნომრების თვალსაჩინოდ გამოჩენა მოეთხოვება.[60]

2024 წლის 7 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის 20-21 ივნისს, თბილისში მიმდინარე აქციისას დაზარალებული მოქალაქეების საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, რომლითაც საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამრღვევად იქნა ცნობილი. სასამართლომ ისაუბრა იმ ვალდებულებაზეც, რომელიც სახელმწიფოს ფართომასშტაბიანი საპოლიციო სპეცოპერაციის ჩატარებისას აქვს და მიუთითა, რომ "სახელმწიფოს ვალდებულებაა, მსგავსი ფართომასშტაბიანი საპოლიციო ოპერაციის დროს დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ძალადობაში, ამოცნობადნი იყვნენ... სამართალდამცავები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მართლწესრიგის დაცვასა და დაკავებაზე, ვალდებულნი არიან ატარონ განმასხვავებელი ნიშანი, მაგალითად, შესაბამისი კოდი."[61]

მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო უწყება ხშირად, არასათანადო მოპყრობის გამოძიების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ან ვიდეოკადრების არარსებობას, ან პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობას ასახელებს, გამოცდილება აჩვენებს, რომ გამოძიებას პასუხისმგებელი პირი არც იმ შემთხვევაში გამოუკვეთავს, სადაც კანონდამრღვევი სამართალდამცავი კადრებში კარგად ჩანს და ამოცნობადია. მაგალითად, ამ დრომდე არ დამდგარა მოქალაქე ირაკლი წიგნაძეზე ძალადობაში მონაწილე სამართალდამცავის პასუხისმგებლობის საკითხი. მოქალაქის მიერ გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს 2024 წლის 10-11 მაისს, თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე ინციდენტში მონაწილე სამართალდამცავი,[62] რომელიც მოქალაქეზე მძიმედ ძალადობს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნაძე მას წინააღმდეგობას არ უწევდა, სამართალდამცავმა დაზარალებულის ინტენსიური ცემა მაინც არ შეწყვიტა. მოგვიანებით კი შემთხვევის ადგილიდან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა განარიდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ინციდენტში მონაწილე პოლიციელი მარტივად ამოცნობადია, საგამოძიებო უწყებას ამ დრომდე არ გამოუვლენია მისი ვინაობა.

---

[60] Hristovi v. Bulgaria, no. 42697/07, 2011, §91

[61] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Tsaava and Others v. Georgia, no. 13186/20, 2024, §223

[62] რადიო თავისუფლება, 21.05.2025, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/prj29lRN.

2.3.4 ელექტრონული საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის სისტემური დამალვა ან განადგურება

იმ ფონზე, როდესაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები აღჭურვილნი არ არიან სპეციალური საიდენტიფიკაციო ნიშნით, სხვა მტკიცებულებების დროული მოპოვება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობისთვის დაკისრებისთვის.

სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში, ელექტრონული საშუალებებითა და სისტემებით შექმნილი ინფორმაციის მოპოვების როლი განსაკუთრებით მაღალია. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ სამართალდამცავი ორგანოები მართლწესრიგის დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, მუდმივ რეჟიმში მოიხმარენ სხვა და სხვა სახის ელექტრონულ საშუალებას. გარდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებისა, რომელიც ქალაქის სხვადასხვა წერტილშია განთავსებული, თავად პოლიციის ეკიპაჟები ახორციელებენ ვიდეოგადაღებას. მაგალითად, საპატრულო პოლიცია აღჭურვილია სამხრე კამერით, ხოლო ეკიპაჟი ფლობს ბორტ-კომპიუტერს, რომელიც ასევე აღჭურვილია ვიდეოგადაღების ფუნქციით. სხვადასხვა საპოლიციო დანაყოფები მუდმივ რეჟიმში მოიხმარენ ხელის რადიოსადგურებს, ე.წ. რაციებს. გარდა ამისა, განსაკუთრებით საპოლიციო ღონისძიების განხორციელების დროს, მნიშვნელოვანია მობილური ტელეფონებისა და მასში დაინსტალირებული სხვადასხვა საკომუნიკაციო აპლიკაციის როლი.

როგორც 2024 წლის გაზაფხულის, ისე ზამთრის აქციების დროს გამოვლენილი მასობრივი უფლებადარღვევების მიუხედავად, გამოძიების მიერ ამ დრომდე ვერ იქნა მოპოვებული ისეთი მტკიცებულება, რომელიც რომელიმე პასუხისმგებელ პირს გამოკვეთდა. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა, მათ შორის, საქართველოს პარლამენტმა, თბილისის მერიამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, ეროვნულმა მუზეუმმა აცნობეს, რომ მათი სამეთვალყურეო კამერები ან ხარვეზით მუშაობდნენ, ან არ ახორციელებდნენ ვიდეოკადრების ჩაწერას. გარდა ამისა, საქმის მასალების მიხედვით, ხარვეზიანად მუშაობდა როგორც ხელის რადიოსადგურები, ისე ბორტ-კომპიუტერები და ისინი გამოძიებისთვის რელევანტურ ინფორმაციას არ შეიცავს.

მოცემული თავი აანალიზებს გამოძიებაში ვიდეო კამერებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების მიერ დამუშავებული ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს, რომ ეს ხარვეზები განპირობებულია არა გამოძიების სირთულესთან დაკავშირებული ობიექტური გარემოებებით, რაც კონკრეტული ეპიზოდების გამოძიებას ან პასუხისმგებელი პირის დადგენას აბრკოლებს, არამედ წარმოადგენს სახელმწიფო უწყებების განზრახ და კოორდინირებულ ქმედებათა ერთობლიობას, სადაც როგორც საგამოძიებო ორგანო, ისე სხვა

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ინსტიტუტები, დაინტერესებული არიან, რომ გამოძიება არაეფექტიანად წარიმართოს და არ მოხდეს ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებზე პასუხისმგებელი პირების დადგენა.

2.3.5. ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების ხელმისაწვდომობა

როგორც 2024 წლის გაზაფხულის, ისე ზამთრის საპროტესტო გამოსვლების ძირითად ადგილს საქართველოს პარლამენტი და შენობის გარშემო ტერიტორია წარმოადგენდა. საგამოძიებო უწყებამ, ორივე შემთხვევაში, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, პარლამენტისა და მის მიმდებარედ განთავსებული ობიექტებიდან ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები გამოითხოვა.

გაზაფხულის აქციების კონტექსტში, საგამოძიებო სამსახურმა გამოითხოვა ინფორმაცია პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის ზ. ჭიჭინაძის ქუჩაზე, ზ. ჟვანიას ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩასა და პარლამენტის უკან მდებარე ოლივერ ვორდროპის ბაღში განთავსებულ კავშირგაბმულობის ბოძებზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერებიდან.[63] უშუალოდ პარლამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია მიემართებოდა არა პარლამენტში დასაქმებულთა სამუშაო სივრცეებში, არამედ შენობის გარე ფასადზე, შენობაში საფეხმავლო/საავტომობილო შესასვლელებთან და ეზოში დამონტაჟებული სამეთვალყურო კამერების ჩანაწერებს.[64]

უმეტეს შემთხვევებში, საგამოძიებო უწყებამ კამერების ჩანაწერები სხვადასხვა საფუძვლით ვერ მიიღო. არსებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტს ვიდეოკამერების ჩანაწერები არ გააჩნია, რადგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის შესაბამისად, 2024 წლის მარტიდან (კანონის ამოქმედებიდან) საქართველოს პარლამენტის აპარატი ვიდეომონიტორინგს ახორციელებს მხოლოდ ვიდეოკონტროლის ფორმით, ვიდეოჩაწერის გარეშე.[65]

ანონმდებლობით, ვიდეომონიტორინგი გულისხმობს საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავებას, კერძოდ, ვიდეოკონტროლს ან/და ვიდეოჩაწერას.[66] ვიდეომონიტორინგის დასაშვებობის აუცილებელი კომპონენტია, რომ ვიდეომონიტორინგი ლეგიმიტიმური მიზნების (მათ შორის, უსაფრთხოების, საკუთრების დაცვა) ადეკვატური და პროპორციული საშუალება იყოს. საკანონმდებლო ცვლილებებით, დაზუსტდა საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების საშუალებით ჩანაწერის განხორციელების წესი. კერძოდ, კანონით განისაზღვრა ვიდეომონიტორინგის განხორციელების თანმდევი

---

[63] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;
[64] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;
[65] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;
[66] საქართველოს კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", მუხლი 3, ,,ღ" ქვეპუნქტი.

ვალდებულებები: დამმუშავებელი ვალდებული გახდა, წერილობით განსაზღვროს ვიდეოთვალთვალის მიზანი და მოცულობა, ვიდეოთვალთვალის ხანგრძლივობა და ჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები. შესაბამისად, რაიმე სახის ვალდებულება კერძო თუ საჯარო სივრცეში ვიდეომონიტორინგის ვიდეოჩაწერის გარეშე განხორციელებაზე, კანონში არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყენაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური პროტესტის მთავარი სივრცე სწორედ პარლამენტია და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები არაერთი გამოძიების/დევნის დაწყების საფუძველი გამხდარა. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პარლამენტი თავისი ნებით უარს ამბობდეს საკანონმდებლო ორგანოს გარე პერიმეტრსა და ეზოში გარე სათვალთვალო კამერების მეშვეობით ჩანაწერების გაკეთებაზე. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის შაბლონური პასუხი, ვიდეომონიტორინგის ვიდეოჩაწერის გარეშე განხორციელებაზე კანონით განსაზღვრულივალდებულებიდან არ გამომდინარეობას და შესაძლოა ჩანაწერებში არსებული ფაქტების დამალვის მიზნებით აიხსნას.

თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურმა საგამოძიებო სამსახურს 4 სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხი გასცა და საბოლოოდ ვიდეოჩანაწერების არქონა სისტემური ხარვეზით ახსნა:

- ოლივერ ვორდროპის ბაღში და მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერებზე კონტროლს ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების სამსახური. ამავე წერილის თანახმად, ვიდეო კამერები არის მუშა მდგომარეობაში, ახორციელებს ვიდეო ჩაწერას, ვიდეო ჩანაწერები მუშაობენ რეალურ დროში, ხოლო ჩანაწერები ინახება 30 დღის ვადით.
- ოლივერ ვორდროპის ბაღში განთავსებულია ქ.თბილისის მერიის კუთვნილი ვიდეო კამერები, თუმცა სისტემაში დაფიქსირებული ხარვეზის გამო ვიდეო კამერები არ ახორციელებდა ჩაწერას.
- ოლივერ ვორდროპის ბაღში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფროების საქალაქო სამსახურის კამერები არ არის დამონტაჟებული, შესაბამისად, ვიდეო კამერის ჩანაწერები არ არსებობს.
- 2024 წლის 13 მაისის და 14 მაისის წერილების შეცდომით იქნა გამოგზავნილი და არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. 2024 წლის 14 და 15 მაისს გამოგზავნილი ახალი წერილებით კი ტექნიკური ხარვეზის გამო ჩანაწერები არ ხორციელდებოდა. კამერები განთავსებულია მხოლოდ ვორდროპის სახელობის ბაღში არსებულ გარე განათების ბოძებზე. ამასთანავე, აღნიშნულ მისამართზე და კიდევ რამდენიმე ლოკაციაზე მითითებულ პერიოდში ვიდეო სამეთვალყურეო ქსელში დაფიქსირდა სისტემური ხარვეზი (რომელიც დღემდე ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი) და ვიდეო ჩანაწერების არქივაცია ვერ ხორციელდება.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კამერების ჩანაწერების თაობაზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შემდეგი პასუხები გასცა:

- ქ.თბილისში, 9 აპრილის ქუჩა 4-ში მდებარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, გარე ფასადზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით არ ხორციელდება ვიდეომონოტორინგი/ ვიდეოჩაწერა.

სსიპ „ეროვნული მუზეუმმა“ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ვიდეო-კამერებთან დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ტექნიკური მიზეზების გამო, მუზეუმს ვიდეო-ჩანაწერები არ გააჩნია.[67]

რა თქმა უნდა, არადამაჯერებელია, რომ საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო უწყებების ვიდეო-კამერები, კონკრეტულად აქციების დღეებში ერთიანად გამოვიდა მწყობრიდან და ტექნიკური პრობლემები შეექმნა. მეორე მხრივ კი, გასათვალისწინებელია, რომ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებულები აქციის მონაწილეები არიან, საგამოძიებო ორგანოებმა მოახერხეს შესაბამისი ვიდეო მასალების მოძიება. აღნიშნული განსხვავება მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოების უკიდურეს მიკერძოებულობასა და პოლიტიზებაზე.

2.3.6. პოლიციელთა სამხრე ვიდეო კამერებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია

როგორც აღინიშნა, სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, პროტესტის მონაწილეებთან შემხებლობა ჰქონდათ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, განსაკუთრებულ დავალებათა და სხვა ტერიტორიული ორგანოების დეპარტამენტის თანამშრომლებსაც, თუმცა მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს ისინი ტექნიკურ საშუალებებს არ იყენებენ, ასეთი სავალდებულო წესის არარსებობის გამო.

არასათანადო მოპყრობის საქმეებში პირდაპირი მტკიცებულებების კუთხით, ხშირად შეუცვლელია პოლიციის თანამშრომელთა სამუშაო ფორმაზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები. საპოლიციო სისტემაში სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილია მხოლოდ საპატრულო პოლიცია, რომელიც საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას, უფლებამოსილია და არა ვალდებული, ჩართოს სამხრე ვიდეოკამერა.[68] აღნიშნული ტექნიკური საშუალებით ვიდეოგადაღების წარმოება 12 საათის განმავლობაში უწყვეტად არის შესაძლებელი და ვიდეო გამოსახულება აღბეჭდავს გადაღების თარიღსა და დროს.[69]

---

[67] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;

[68] EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Geo_WEB_1576833205.pdf

[69] EMC, არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, 2019 წ., გვ. 39, ხელმისაწვდომია:

პატრულირების დროს სამხრე ვიდეოკამერით მოპოვებული მონაცემები სპეციალურ სერვერზე 30 დღის ვადით ინახება.[70]

სამხრე ვიდეოკამერების საკითხის პრობლემურობაზე, ყოველწლიურად, მათ შორის 2023 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საუბრობს სახალხო დამცველიც. ანგარიშის მიხედვით, გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სახალხო დამცველი ასევე გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეოინფრასტრუქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის შესახებ.[71]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშშიც აქციების საქმეებზე გამოძიების მთავარ გამოწვევად სამხრე კამერების ჩანაწერების არარსებობას ასახელებს. არსებული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საგამოძიებო სამსახურის რეკომენდაციით საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა სამხრე კამერების ეფექტური გამოყენებით უნდა უზრუნველყონ ვიდეოჩანაწერის მოპოვება. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს დაკავების სახელმძღვანელო დოკუმენტი ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებზე; ეტაპობრივად კი უნდა დაიწყოს იმ თანამშრომელთა გადამზადება, ვისაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა; აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს როგორც სამართალდამცავების მიერ ძალადობის ფაქტებზე ეფექტურ გამოძიებას, ისე შეამცირებს მოქალაქეთა უფლებებში თვითნებური ჩარევის რისკებს.

2.3.7 რადიოსადგურებიდან (ე.წ ,,რაციებიდან”) და ავტომობილებში არსებული ვიდეოკამერებიდან (ბორტ-კომპიუტერიდან) გამოთხოვილი ინფორმაცია

გაზაფხულის აქციებზე საგამოძიებო სამსახურმა პარლამენტის შენობისა და მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციებზე მყოფი სამართალდამცავების რადიოსადგურებით (ე.წ ,,რაცია”) გადაცემული შეტყობინებები და საპატრულო პოლიციის ავტომობილებში არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებიც გამოითხოვა. შემოდგომის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, საგამოძიებო უწყებას საპატრულო პოლიციის ბორტ-კომპიტერებიდან ინფორმაცია არ გამოუთხოვია.

შსს-ს თანახმად, თანამშრომლები მობილურის გარდა, იყენებენ ხელის რადიოსადგურებს, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების

---

[70] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანება No1310, მუხლი 121;

[71] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.13, 71;

სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. აღნიშნულ პერიოდში [15 აპრილიდან 15 მაისის და 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის] პერიოდში სააგენტოს სისტემა ხარვეზით ფუნქციონირებდა და არ ახორციელებდა ხელის რადიოსადგურების გამოყენებულის გადაცემული ინფორმაციის ჩაწერას.[72] თავის მხრივ, პრობლემურია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წვდომა და კონტროლი შსს-ს სარგებლობაში არსებულ რაციების ჩანაწერებზე, რაც სააგენტოს ჭარბ უფლებამოსილებაზე მიუთითებს.

რაც შეეხება, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს ავტომობილებში არსებულ ვიდეო ჩანაწერებს, მონაცემები ამავე ავტომობილებში განთავსებულ საავტომობილო ბორტ-კომპიუტერის შიდა მეხსირებაში ინახება. აღნიშნული კამერების შენახვის ვადა დამოკიდებულია ტექნიკური საშუალების - კამერების მახასიათებლებზე და ვიდეო გადაღების ინტენსივობაზე. მონაცემთა ამოღებას უზრუნველყოფს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. სოციალური სამართლიანობის ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით, შესაბამისი ჩანაწერები არ არსებობს.

2.3.8 სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროულობა

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების მომზადების გაჭიანურება საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე საქმეებზე კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს გამოძიების ეფექტიანად და სრულყოფილად წარმართვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საგამოძიებო უწყებამ სხეულის დაზიანების არსებობის, მისი მიყენების ხერხების, ხარისხის, ადგილმდებარეობისა და ხანდაზმულობის დადგენის მიზნით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა. სოციალური სამართლიანობის ცენტრში არსებულ საქმეებზე დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზებიდან, უმეტესობაზე სამედიცინო დასკვნები ამ დრომდე არ არის მიღებული, რაც რიგ შემთხვევებში პროკურატურის მიერ პირის დაზარალებულად ცნობის დამაბრკოლებელ ფორმალურ საფუძვლად სახელდება.

3. საგამოძიებო უწყების მიერ დაუყოვნებლივ განსახორციელებელი საგამოძიებო მოქმედებები

მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში, შესაძლოა დაგვიანებული იყოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ჯერ კიდევ არსებობს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა თუნდაც დაგვიანებით ჩატარებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის და წამებისა და

[72] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;

მასობრივი უფლებადარღვევის ფაქტებზე პასუხისმგებელი პირების გამოკვეთისთვის. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებამ მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ჩაატაროს ქვემოთ მითითებული საგამოძიებო მოქმედებები.

3.1 შეკრებების დაშლის ოპერაციების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესების სისტემური შესწავლა

ნოემბერ-დეკემბრის კონტექსტში, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ შესწავლილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მასალების მიხედვით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი არ აქვს ინფორმაცია 2024 წლის 15 აპრილიდან 15 მაისამდე და 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2024 წლის 8 დეკემბრამდე პერიოდებში საპროტესტო აქციების დროს, შსს-ში შემუშავებული იყო თუ არა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, განსაზღვრული იყო თუ არა ხელმძღვანელი და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, მოპოვებული იქნას ინფორმაცია სამოქმედო გეგმის, გეგმაში მითითებული პირების შესახებ. ამავდროულად, გამოიკითხნონ პოლიციის საშუალო და მაღალი რგოლის ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ შეკრების ადგილზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს და მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ ადგილზე გამოყენებული სპეციალური საშუალებების გამოყენების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ.

3.2 რელევანტური მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნების გამოკითხვის აუცილებლობა

არც 2024 წლის გაზაფხულის და არც ზამთრის აქციების კონტექსტში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყებას გამოკითხული არ ჰყავს მაღალი მენეჯერული რგოლის სამართალდამცავები, მაგალითად, როგორიცაა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ხარაზიშვილი და სპეციალურ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უშუალოდ შეკრების ადგილზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რაც ასევე გამოძიების არსებით ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული. აღნიშნული განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ ფონზე, რომ სპეციალური ღონისძიების დაგეგმვასა და წარმართვასთან დაკავშირებული მთელი რიგი ინფორმაცია, სწორედ მაღალი და საშუალო მმართველი რგოლისთვისაა ხელმისაწვდომი.

შსს-ს თანამდებობის პირთა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების გამოკითხვით, შესაძლებელი იქნებოდა ინფორმაციის მიღება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის არსებობასა და საპოლიციო ღონისძიებებში გადანაწილებული როლების შესახებ. მათ შორის, თითოეული ბრძანების გაცემის ფარგლების, დროისა და შესრულების შედეგების თაობაზე. შესაბამისად, შსს-ს ხელმძღვანელი პირების გამოკითხვის ხარვეზულობა კიდევ უფრო კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს, მაშინ როდესაც გამოძიების მთავარი პრობლემა მოძალადე სამართალდამცავთა იდენტიფიცირებაა. ის ფაქტი, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შსს-ს ხელმძღვანელი პირები არ გამოკითხა, აძლიერებს მოსაზრებას, რომ

სამსახური არ არის ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და პოლიტიკური მიზანშეწონილების ფარგლებში მოქმედებს.

გარდა უშუალოდ საპოლიციო ღონისძიების დამგეგმავი და მასში მონაწილე პირების პასუხისმგებლობის გამოკვეთისა, მნიშვნელოვანია გამოძიების მიერ გამოიკვეთოს ის პირები, რომელთა უშუალო პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესრულება. მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანების თანახმად,[73] სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა იდენტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი ფორმის ტანსაცმლით ან შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნით. მიუხედავად ამისა, საჯაროდ გავრცელებულ კადრებში ჩანს და წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ შეკრება/მანიფესტაციის დროს კონკრეტულ ლოკაციებზე განლაგებულ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს არ გააჩნდათ ხილული მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომელთა დახმარებით, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მათი ამოცნობა.

ბრძანებით დადგენილი ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნულ ვალდებულებას შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ასრულებს, რის გამოც, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება და სპეციალური აღჭურვილობის მქონე შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება მნიშვნელოვნად ფერხდება. შესაბამისად, გამოსარკვევია ის გარემოებები, რომელთა გამოც ვერ ხერხდება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით აღჭურვა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ხომ არ ქმნის საფუძვლებს ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია ამ კუთხით, შსს-ს ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების, კერძოდ, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვახტანგ გომელაურის, მისი მოადგილეების ალექსანდრე დარახველიძის, გიორგი ბუთხუზის, იოსებ ჭელიძის, შალვა თადუმაძის, შსს-ს ყოფილი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ზვიად ხარაზიშვილის, მისი მოადგილეების მილერი ლაგაზაურის და მირზა კეზევაძის გამოკითხვა. გამოკითხვის პროცესში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს, კონკრეტულად ვინ არის პასუხისმგებელი შეკრება/მანიფესტაციების დროს სამართალდამცავების მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით აღჭურვაზე და რატომ არ არიან ისინი შესაბამისად აღჭურვილები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მოქალაქეებზე სისტემური ძალადობის და წამების ოპერაციის აღსრულების გარდა, წინასწარ და განზრახ შექმნა სისტემური დაუსჯელობის

[73] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი;

წინაპირობები და არ უზრუნველყო სპეცრაზმელებისა და მასობრივ დანაშაულში ჩართული სხვა თანამშრომლების იდენტიფიცირებისთვის საჭირო პირობების შექმნა. მასობრივი ძალადობის ორგანიზების მიღმა, დაუსჯელობის ეს პრაქტიკაც, თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების ფარგლებში აგრეთვე გამოსაკითხია შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს ყოფილი უფროსიც, ირაკლი შაიშმელაშვილი, რადგან შაიშმელაშვილი, როგორც მედიაში მის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან იკვეთება, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლოა ფლობდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც უკავშირდება საპროტესტო აქციების დაშლის დროს გადაწყვეტილებების მიღებას, აქციის მონაწილეების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენების უკანონობას, შსს-ს მაღალჩინოსნების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენას.

3.3. 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის საპროტესტო აქციების დაშლაზე გადაწყვეტილების მიმღები და მასში მონაწილე პირების პირების მობილური ტელეფონების ამოღება და მონაცემების გამოთხოვა

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 წლის 15 აპრილიდან 15 მაისის და 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილე შსს თანამშრომლების ხელის რადიოსადგურით სარგებლობის, მობილური ტელეფონებით სარგებლობისა და ხელის რადიოსადგურით განხორციელებული კომუნიკაციის ჩაწერის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით 2024 წლის 13 დეკემბრის შსს წერილით დგინდება, რომ დასახელებულ პერდიოდში შსს-ს თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებდნენ როგორც ხელის რადიოსადგურებს (რაციებს), აგრეთვე მობილურ ტელეფონებს.

წერილის მიხედვით, რაციების ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს 2024 წლის 18 დეკემბრის წერილით კი დგინდება, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2024 წლის 8 დეკემბრამდე ხელის რადიოსადგურების (რაციები) სისტემა ხარვეზებით ფუნქციონირებდა, რის გამოც არ ხორციელდებოდა დასახელებულ პერიოდში გადაცემული კომუნიკაციის ჩაწერა. შესაბამისად, ვინაიდან ამ დროისათვის შეუძლებელია ხელის რადიოსადგურებით გადაცემული კომუნიკაციის შინაარსის მოპოვება, თუმცა, ამავე დროს, შსს საკუთარი წერილით ადასტურებს, რომ ადგილზე მყოფი თანამშრომლები კომუნიკაციას მობილური ტელეფონებითაც ახორციელებდნენ, მნიშვნელოვანია ადგილზე მყოფი პირების, ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირება, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე მათ სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონების ამოღება და მობილურ ტელეფონებში არსებული ინფორმაციის, მათ შორის, ინსტალირებული სხვადასხვა მობილური აპლიკაციიდან (WhatsApp, Viber, Signal, Telegram, Messenger და სხვა) განხორციელებული

კომუნიკაციის გამოთხოვა. მობილურ ტელეფონებში, განსაკუთრებით ინსტალირებულ აპლიკაციებში შესაძლოა იძებნებოდეს ინფორმაცია 2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, შსს-ს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული ძალადობისა და ძალადობის ჩამდენ პირთა ვინაობების შესახებ, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სამართლებრივი შედეგისთვის.

აქვე მნიშვნელოვანია შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებისგან გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია იდენტიფიცირებულ პირთა მობილურ ნომრებზე შემავალი და გამავალი ზარების, ასევე, ინტერნეტტრაფიკის თაობაზე.

3.4. რაციების სისტემაზე კომპიუტერულ-ტექნოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და ოტო-დან შესაბამისი პირების გამოკითხვის აუცილებლობა:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას შსს-ს თანამშრომლები იყენებდნენ ხელის რადიოსადგურებს ე.წ. "რაციებს", რომელთა ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში არსებული სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია ხელის რადიოსადგურების მეშვეობით კომუნიკაციის გადაცემასა და ჩაწერაზე როგორც გაზაფხულის [15 აპრილი-15 მაისის პერიოდი], ისე ზამთრის [2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით] აქციების დროს ხარვეზებით ფუნქციონირებდა,[74] რის გამოც შეუძლებელი გახდა განხორციელებული კომუნიკაციის ჩაწერა და შენახვა. აღნიშნულის გათვალისიწინებით, ვინაიდან მიმდინარე საქმეზე მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი არსებითად მნიშვნელოვანია გადამოწმდეს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია. კერძოდ, მნიშვნელოვანია, საგამოძიებო სამსახურმა მოახდინოს იმ სისტემის იდენტიფიცირება, რომელიც ინახავს ხელის რადიოსადგურებით გადაცემულ კომუნიკაციას და მასზე დანიშნოს კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა, დადგინდეს ჰქონდა თუ არა სისტემას ხარვეზი ამ პერიოდების განმავლობაში (თუ არ ჰქონია, ინახებოდა თუ არა მასზე შესაბამისი მონაცემები), ასევე რა სახის იყო ეს ხარვეზი, შეეძლო თუ არა აღნიშნულ ხარვეზს მოეხდინა გავლენა გადაცემული კომუნიკაციის ჩაწერაზე და შენახვაზე და როგორ შეიძლებოდა მისი აღმოფხვრა.

აღნიშულთან ერთად, მნიშვნელოვანი იმ თანამშრომელთა იდენტიფიცირება და გამოკითხვა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე. მნიშვნელოვანია, მათგან მიღებული იქნეს ინფორმაცია, რა სახის ხარვეზი ჰქონდა სისტემას, როდის მოხდა ხარვეზის არსებობის აღმოჩენა და რატომ ვერ მოხერხდება მისი აღმოფხვრა. აღნიშნულ დეტალებს აქვს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ხელის რადიოსადგურებით გადაცემული ინფორმაცია შესაძლოა, შეიცავდეს მონაცემებს შეკრება/მანიფესტაციების დროს გაცემული ბრძანებების, დანაშაულის და დანაშაულის

[74] სს საქმის მასალები N199160424002, N199291124001;

ჩამდენი პირების ვინაობის ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის თაობაზე, რაც მიმდინარე გამოძიებას სამართლებრივი შედეგის დადგომაში დაეხმარებოდა. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოირკვეს, რატომ ფუნქციონირებდა სისტემა ხარვეზებით მაინცდამაინც საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას და სისტემის ხარვეზები ხომ არ არის განპირობებული მასზე პასუხისმგებელი პირების დანაშაულებრივი (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედებებით.

ცხადი ხდება, რომ ორივე პერიოდში მიმდინარე შეკრებისა და მანიფესტაციების დროს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სისტემა მუშაობდა ხარვეზულად და ვერ უზრუნველყოფდა ხელის რადიოსადგურებით გადაცემული კომუნიკაციის შენახვას. შესაბამისად, მნიშნელოვანია დადგინდეს ხარვეზის არსებობა, მისი საფუძველი და მასზე პასუხისმგებელ პირთა ქმედებები.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხების დადგენის მიზნით აუცილებელია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს იმ სისტემებზე კომპიუტერულ-ტექნოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელია რაციებით გადაცემული კომუნიკაციის ჩაწერაზე და აგრეთვე ამ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და გამოკითხვა;

3.5. საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების გადასაყვანი ავტომობილებიდან ვიდეოკამერების მონაცემების გამოთხოვა

გამოძიების ფარგლებში გამოთხოვილია 2024 წელს როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის საპროტესტო აქციებზე მყოფი რამდენიმე პოლიციის თანამშრომლის სამხრე-ვიდეო კამერების შესახებ ინფორმაცია. თუმცა, არ არის გამოთხოვილი იმ კამერების შესახებ, რომლებიც შესაძლოა განთავსებული იყოს შსს საკუთრებაში არსებულ საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებებში და ახდენდეს ავტომობილის სალონის და გარე პერიმეტრის ჩაწერას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით დაკავებული აქციის მონაწილეები, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხული არაერთი პირი უთითებდა, რომ დაკავების შემდგომ გდდ-ს თანამშრომლებმა მათზე ფიზიკური ძალადობა ავტომობილებში გააგრძელეს; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია შსს-ს ბალანსზე არსებული ავტომობილების შესახებ, რომლებიც გამოიყენება დაკავებულთა გადასაყვანად, მათში ვიდეოკამერების არსებობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გამოთხოვილი იქნეს ვიდეოჩანაწერების მონაცემები. მითითებული საგამოძიებო მოქმედებით შესაძლოა, დადასტურდეს საქმეზე დაზარალებულად ცნობილ პირთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ავტომობილებში მათ მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

4. შსს-ს მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

ზემოთ მითითებულ დაუყოვნებლივ განსახორციელებელ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შესაბამისი შუამდგომლობებით მიმართა საგამოძიებო უწყებას. საგამოძიებო ორგანომ და პროკურატურამ ფორმალურად გვაცნობეს, რომ გამოძიების მიმდინარეობისას ჩატარდებოდა ყველა რელევანტური საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და მათი შედეგების გათვალისწინებით დაზუსტდებოდა სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია. ამ განმარტების მიუხედავად, ჩვენთვის 2025 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით, არ ჩატარებულა მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედებები.

ზემოთ მითითებული გარემოებების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სს საქმის მასალებით ჩნდება დასაბუთებული ვარაუდი შსს-ს მაღალჩინოსნების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის თაობაზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა პროკურატურას მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით მიმართა.

კერძოდ, საქმეში არსებული გარემოებებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირების მიმართ წამებასა და არასათანადო მოპყრობას ადგილი ჰქონდა შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან როგორც შეკრების დაშლის ეპიზოდებში, როცა ხდებოდა სპეციალური საშუალებების უკანონო და არაპროპორციული გამოყენება, ისე ქუჩაში დაკავების დროსა და დაკავების შემდეგ, და საბოლოოდ, დაკავების შემდგომ შსს-ს კუთვნილ ავტომობილებში. აშკარაა, რომ დაკავებული პირების გადასაყვან სატრანსპორტო საშუალებებში მოქალაქეების მიმართ ძალადობა სისტემურ და წინასწარ ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, რასაც მოქალაქეებისთვის მიყენებული დაზიანებების ხელწერა, პოლიციელების ქცევისა და გამოყენებული ენის განმეორებადი პატერნი ადასტურებს. მითითებულ პერიოდში, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა ზვიად ხარაზიშვილი (იგივე "ხარება"). საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის, ცალკეულ პირთა გამოკითხვის ოქმები აჩვენებს, რომ 2024 წლის 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე სრული ინფორმაცია ჰქონდა ხარაზიშვილის და, როგორც მინიმუმ, არ მოახდინა სათანადო რეაგირება დანაშაულის აღკვეთის მიზნით, რაც სამოხელეო დანაშაულს წარმოადგენს.

ამასთან ერთად, ხარაზიშვილის დანაშაულებრივი ქმედებები იკვეთება არამხოლოდ 2024 წლის 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით გამართული საპროტესტო აქციების მონაწილეებზე ძალადობისა და მათ მიმართ სპეციალური საშუალებების უკანონოდ გამოყენების ნაწილში, არამედ იმ კუთხითაც, რომ ხარაზიშვილი სათანადოდ არ ასრულებდა, მასზე, როგორც გდდ-ს დირექტორზე დაკისრებულ მოვალეობებს. კერძოდ, ცნობილია, რომ სპეციალური ეკიპირების მქონე, გდდ-ს ნიღბიანი თანამშრომლები არ იყვნენ (და არიან) აღჭურვილნი სპეციალური ამოსაცნობი ნიშნებით, რის გამოც მათი მხრიდან ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, მათ შორის 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში დემონსტრანტების

მიმართ გამოვლენილი ქმედებები, ფაქტობრივად დაუსჯელი რჩება, რადგან ვერ ხერხდება გდდ-ს თანამშრომლების იდენტიფიცირება. გდდ-ს თანამშრომლების სათანადო ეკიპირებით აღჭურვის მონიტორინგი და მასზე დაქვემდებარებული პირების მხრიდან მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაზე პასუხისმგებლობა სწორედ ზვიად ხარაზიშვილს ეკისრებოდა, შესაბამისად, გამოძიების ფარგლებში აგრეთვე უნდა შეფასდეს, მისი მხრიდან ადგილი ხომარ ჰქონდა განზრახ ქმედებას, რაც გდდ-ს თანამშრომლების მაიდენტიფიცირებელი ნიშნების განზრახ არ ქონასა და ძალადობის განზრახ შეწყნარებასა და დაუსჯელობის გარანტიის მიცემას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ სს საქმის მასალები ხარაზიშვილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, შსს-ს სხვა ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც ავლენს. მათ შორის, შსს-ს ყოფილი მინისტრის ვახტანგ გომელაურის, რომელიც იღებდა შეკრებების დაშლის ბრძანებებსა და ამ პროცესის სათანადო წარმართვაზე იყო პასუხისმგებელი. ამასთან, მედია საშუალებებით გავრცელებული კადრებით, დგინდება, რომ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართული აქციების დროს მოქალაქეთა მიმართ შსს-ს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ ძალადობას მუდმივად თვალს ადევნებდნენ საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, მის მოადგილეები ალექსანდრე დარახველიძე, იოსებ ჭელიძე, გიორგი ბუთხუზი, შალვა ბედოიძე და გდდ-ს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეები მირზა კეზევაძე და მილერი ლაგაზაური. დასახელებული პირების მონაწილეობას დანაშაულებრივ ქმედებებში ადასტურებს ირაკლი შაიშმელაშვილის ახსნა-განმარტებაც, სადაც მითითებულია, რომ შსს-ს მაღალჩინოსნებს აქვთ ინფორმაცია ძალადობის თაობაზე, თუმცა არაფერი გააკეთეს აშკარად დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად. უფრო მეტიც, ირაკლი შაიშმელაშვილის განცხადებით, ზოგიერთ შემთხვევებში ისინი თავადაც უშუალოდ იყვნენ ჩართულები დანაშაულებრივ პროცესებში.

დასკვნა

ჯერ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და ამჟამად თბილისის პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების მასალებისა და ცალკეული გარემოებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საგამოძიებო ორგანო დაინტერესებული არ არის 2024 წლის გაზაფხულსა და ზამთარში ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევებისა და წამების ფაქტების გამოძიებით. საგამოძიებო უწყება განზრახ არ იძიებს არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ეფექტიანად და რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო ორგანოებთან ერთად უშუალოდ ჩართულია წამებაზე პასუხისმგებელ პირთათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავის არიდების პროცესში. ამაზე მეტყველებს გამოძიების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და დაგვიანებით, ან არ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები.

სისტემური დაუსჯელობა, რაც 2024 წლის გაზაფხულის მოვლენებიდან 1.5 წლის, ხოლო ნოემბერ-დეკემბრის მოვლენებიდან 1 წლის შემდეგ კვლავ აშკარად ჩანს, არღვევს

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, რომლის შესრულება მას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და უნივერსალური მექანიზმებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (ECHR) აკისრია. ეს რეალობა ეწინააღმდეგება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს და არღვევს სახელმწიფოს ვალდებულებას, ჩაატაროს ეფექტიანი, სწრაფი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება. გარდა ამისა, დაუსჯელობა ძირს უთხრის სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმის არსებობის აუცილებლობას, რაც სახელმწიფოს ავალებსარა მხოლოდ უზრუნველყოს ფორმალური ხელმისაწვდომობა სასამართლოზე, არამედ მისცეს რეალური შესაძლებლობა დაზარალებულებს დაიცვან თავიანთი უფლებები და მიიღონ ადეკვატური რეპარაცია.

როგორც აღინიშნა, გამოძიება ამ დრომდე შედარებით მსუბუქი, „ძალადობით ან იარაღის მუქარით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების“[75] მუხლით მიმდინარეობს. მიმდინარე გამოძიების სათანადო მუხლით კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული საქმის ეფექტიანი გამოძიების კუთხით ადამიანის უფლებათა სამართლის პრიზმიდან, არამედ ასევე არსებითია სასჯელის როგორც სპეციალური, ისე გენერალური პრევენციის მიღწევის მიზნებისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს წამების აკრძალვის პრინციპის რეალური და ქმედითი აღსრულებისთვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურამ შეცვალოს კვალიფიკაცია იმ საქმეებში, სადაც დანაშაულის მსხვერპლები მათ მიმართ სასტიკ მოპყრობაზე საუბრობენ და გამოძიება წამების, ან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მუხლით წარმართოს.

2024 წლის არც გაზაფხულის და არც ზამთრის აქციებთან დაკავშირებით, გამოძიებამ ვერ და არ მოიპოვა ისეთი მტკიცებულებები, რაც ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე პასუხისმგებელ პირებს გამოავლენდა. აღნიშნულ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა საქმის ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიებისთვის, მათ შორის, აქციების დაშლის დაგეგმვისა და ცალკეულ დანაშაულის შემცველ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენისთვის. მონაცემების არარსებობის საფუძვლით საგამოძიებო ორგანოსთვის მტკიცებულებების სისტემური მიუწოდებლობა, სავარაუდო დანაშაულის, მტკიცებულების განადგურების[76] ნიშნებს შეიცავს, რისი მიზანიც საქმეების ეფექტიანი გამოძიებისთვის ხელშეშლა და ამ მიზნით მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაფარვაა.

ნიშანდობლივია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში რეკომენდაცია წარმოდგენილი იყო არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის,

---

[75] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტი.

[76] სსკ-ის 368-ე მუხლით დასჯადია სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მტკიცებულების განზრახ განადგურება.

ხელბორკილის დადებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ან პენიტენციურ დაწესებულებაში საკვების გაცემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, თუმცა შსს-ს მიმართ უწყებას არ გაუცია რეკომენდაცია განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მაიდენტიფიცირებელი ნიშნით/ნომრით მონიშვნაზე. მაშინ, როდესაც თავად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, თავის წლიურ ანგარიშში არაერთგზის ნაციტირები ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, "Amnesty International" და „Human Rights Watch", საქართველოში აქციების ძალდობრივი დაშლის კონტექსტში ადამიანის უფლებათა კრიზისზე და წამებაზე, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაზე ანგარიშებს აქვეყნებენ,[77] თავად სპეციალური საგამოძიებო სამსახური, კონკრეტულად 2024 წლის პროტესტებზე დაკავებულ პირთა მიმართ სისტემურ ძალადობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების დეტალებსა და გამოწვევებს მხოლოდ 1 გვერდში აჯამებს, და არც კი ახსენებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხს.[78] საგამოძიებო უწყება დუმდა იმ საქმის გარშემოც, სადაც ადამიანის სასტიკად ცემაში პასუხისმგებელი პირი მაღალი გარჩევადობითაა აღბეჭდილი საჯაროდ გავრცელებულ კადრებში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი გამოწვევებისა, რაც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფარგლებში არსებობდა, ზედიზედ ორი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმებით, რომლებიც მეტნაკლები ინსტიტუციური ავტონომიით სარგებლობდნენ, სახელმწიფო აჩვენებს, რომ სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულები გამოძიება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტს ფორმალურადაც კი აღარ წარმოადგენს. ეს კი, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუარესებაზე, ხოლო, მეორე მხრივ,, სამართალდამცავების ანგარიშვალდებულების ინსტიტუციური გარანტიებისა და ხარისხის განადგურებაზე მიუთითებს.

თბილისის პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 2025 წლის 25 ნოემბერს საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, ჩვენს მიერ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე ჩატარებული არ არის და ყურადღება არ არის გამახვილებული გამოძიებისათვის კრიტიკული მნიშვნელობის საკითხებზე.

შესაბამისად, აშკარაა, რომ საგამოძიებო უწყება არათუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების გარანტორი არ არის, არამედ თავად წარმოადგენს დაუსჯელობის არქიტექტურის ერთ-ერთ რგოლს. საგამოძიებო ორგანო ზოგჯერ უმოქმედობით, ზოგჯერ კი აქტიური ქმედებით, თავად იღებს პასუხისმგებლობას, რომ დამნაშავე პირები არ დაისაჯნონ და არ წარსდგნენ მართლმსაჯულების წინაშე. ყოველივე

---

[77] Amnesty International, Georgia: Brutal crackdown on protestors and journalists in Georgia: "They may have broken our bones, but they won't break our spirits", December 13, 2024, Available at: https://cutt.ly/ZrjchcnD; Human Rights Watch, Georgia: Government Creating Rights Crisis, New, Repressive Laws, Violence against Peaceful Protesters, Available at: https://cutt.ly/PrjcPVzA.

[78] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქმიანობის ანგარიში, 2024, გვ. 66, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/xrjMo6sy.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, უნდა მივიჩნიოთ, რომ საგამოძიებო ორგანო პოლიტიკური მიზანშეწონილობის ფარგლებში მოქმედებს, არ ხელმძღვანელობს სამართლის უზენაესობის პრინციპით და განზრახ არ იძიებს საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული ორგანიზებული საპოლიციო ძალადობის შემთხვევებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, თუ რატომ შეიძლება, რომ საგამოძიებო ორგანოს არ გამოეთხოვა დამატებითი დეტალები სხვადასხვა სახელმწიფო-საბიუჯეტო დაწესებულების ბალანსზე არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ხარვეზიანად მუშაობის და ამ კამერების გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, ან არ დაინტერესებულიყო საპროტესტო აქციების დროს მწყობრიდან გამოსული და ხარვეზით მომუშავე ხელის რადიოსადგურებით, ე.წ. რაციებით, და არ მოეკვლია მათ ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებელი პირი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს საგამოძიებო უწყებებისა და პროკურატურის განზრახ ქმედებაზე, რომ პასუხისმგებლობა აარიდონ იმ სამართალდამცავებს, რომლებიც ასრულებენ ზემდგომთა დავალებას და მონაწილეობენ მოქალაქეთა მიმართ არასათანადო მოპყრობაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკურად და საზოგადოებრივად სენსიტიურ საქმეებში. ამავე მექანიზმის ნაწილად უნდა განვიხილოთ სპეციალურ საპოლიციო ღონისძიებაში ჩართული სამართალდამცავების, განსაკუთრებით განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელთა არაღჭურვა მაიდენტიფიფირებელი ნომრით ან ნიშნით. სამართალდამცავთა იდენტიფიცირების შეუძლებლობა, მათთვის სწორედ დაუსჯელობის გარანტიის მიცემას ემსახურება და არ არის გამოწვეული რაიმე ობიექტური გარემოებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ადგილობრივი უფლებადაცვითი ინსტიტუციების შეფასებების მიუხედავად, კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების მიერ, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების საიდენტიფიკაციო ნიშნით არ აღჭურვა, შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების - ნიშნებს და მოითხოვს ამ პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუყოვნებლივ დღის წესრიგში დაყენებას.

დაუსჯელობის კლიმატი სტრუქტურული გამოწვევაა, რომელიც ქმნის ძალადობის გამეორების პირობებს, ხელს უწყობს სახელმწიფოს ძალაუფლების ჭარბ კონცენტრაციას და ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რაც საბოლოოდ, საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს მთლიანობაში.

განსახილველი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების რეალური ინტერესის არსებობის შემთხვევაში, დანაშაულებზე პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად მნიშვნელოვანია, მიღებულ იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი ზომები.

შესაბამისად, მოვუწოდებთ:

თბილისის პროკურატურას:

- უზრუნველყოს ყოველმხრივი, სრული, ობიექტური და დროული გამოძიების წარმოება, წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეები დააკვალიფიციროს ქმედების შესაბამისი მუხლებით და ამ პროცესში განუხრელად დაიცვას დაზარალებულების სამართლებრივი ინტერესები.

- ათანადოდ განიხილოს დაზარალებულების წარმომადგენლების, მათ შორის, სოციალური სამართლიანობის ცენტრის შუამდომლობები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ და უზურნველყოს ზ. ხარაზიშვილისა და შსს-ს სხვა მაღალჩინოსნების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

- იმ საქმეებზე, სადაც სამართალდამცავების იდენტიფიცირების პრობლემა არ დგას, არსებული მანდატის ფარგლებში, თბილისის პროკურატურამ ეფექტიანად განახორციელოს საკუთარი ფუნქცია, მოიპოვოს რელევანტური მტკიცებულებები და და დევნა დაიწყოს შესაბამისი პირის მიმართ.
- გამოძიებო პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში, უზრუნველყოს საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- აქტიურად ითანამშრომლოს საგამოძიებო უწყებასთან და მიმდინარე გამოძიების ფარგლებში არ შეუქმნას ხელოვნური ბარიერები მტკიცებულებების მოპოვების პროცესში.
- გაითვალისწინოს საერთაშორისო სტანდარტები[79] და უზრუნველყოს პოლიციელების სამსახურეობრივ ფორმებსა და სპეციალურ საშუალებებზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნების/ნომრების დატანა.
- შეკრებების მიმდინარეობისას მოქალაქესთან კონტაქტის ინტენსივობის გათვალისწინებით, საპატრულო პოლიციის გარდა, მოხდეს სხვა საპოლიციო დანაყოფების ტექნიკური საშუალებით ეტაპობრივი აღჭურვა და მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს სამართალდამცავებისთვის სამხრე ვიდეოკამერის ჩართვის დავალდებულება.
- ადამიანის უფლებების უმძიმეს დარღვევებზე პასუხისმგებელი პირები გათავისუფლდნენ სამართალდამცავი სისტემიდან.

---

[79] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „აქციებზე სამართალდამცავების იდენტიფიცირების შეუძლებლობა საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება“, 30.04.2024 ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5rkj0BU8.

საქართველოს პროკურატურას

- დაიწყოს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სავარაუდო განადგურების ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლი), რისი მიზანიც შესაძლოა იყოს საქმის ეფექტიანი გამოძიებისთვის ხელშეშლა და მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაფარვა.
- დაიაწყოს გამოძიება კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების მიერ, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების საიდენტიფიკაციო ნიშნით არ აღჭურვასთთან დაკავშირებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფუძვლით (სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლი).